




ଅନ୍ତର୍ମାତ୍ରରେ କିମ୍ବା ପରିମାଣରେ କିମ୍ବା କିମ୍ବା

ଫାର୍ମଟ୍ୟୁଲ ପାଇସିଲାନ୍‌ଡା  
ପାଇସିଲାନ୍‌ଡା ଫାର୍ମଟ୍ୟୁଲ

തമിന്റെ  
1999



აღმოსავლეთ—დასავლეთის ურთიერთობათა

კვლევის საერთაშორისო ცენტრი

## ქართველ ებრაელთა ყოფა და ფოლკლორი

შემდგენლები:

ელგუჯა დადუნაშვილი, სოლომონ ტაბუცაძე,

ნინო დოლიძე

ე. დადუნაშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით



გამომცემლობა  
„ლომისი”

თბილისი 1999

82(2Γ)+564

398(479.22)

ქ 271

არა მისამართის მიხედვის მიხედვის მიხედვის



კრებულში წარმოდგენილია საქართველოში  
მცხოვრებ ებრაელთა ყოფისა და ზეპირ-  
სიტყვიერების ამსახველი უცნობი მასალები.  
ტექსტების დიდი ნაწილი შეკრებილია ქუთაისში.  
კრებულში შეტანილია აგრეთვე რამდენიმე ნიმუში  
ონისა და სურამის ებრაელთა ფოლკლორული  
რეპერტუარიადან.

კრებული ეძღვნება საქართველოში ებრაელთა  
დამკვიდრების 2600 წლისთავს.

1/301.501  
3

რედაქტორი:

მერი წიკლაური – ფილოლოგის მუცნიერებათა ქანდალტი

რეცენზეტები:

ზურაბ კიქნაძე – ფილოლოგის მუცნიერებათა დოქტორი  
როსტომ ჩხეიძე – ფილოლოგის მუცნიერებათა დოქტორი

ამონ ნიკოლაძე  
“ისტორია”



ISBN 99928-15-36-1

საქართველოს კულტურის  
არხოვდებრი გიგანტი

## შინაარსი

შემდგენლისაგან ..... 5

### სარწმუნობრივ-ზნეობრივი თქმულებები

1. ებრაული თქმულება .....	9
2. შვილისთვის ჯოხის დამკლები შვილის მტერია .....	10
3. ებრაული ლეგენდა მეფე სოლომონზე .....	12
4. არ შეურაცხჲყო არავითარი ადამიანი .....	14
5. მამის ანდერძის შემსრულებელი .....	18
6. სიბრძნე აცოცხლებს მის პატრონს .....	27
7. რაბი რომელსაც სიკვდილი არ უნდოდა .....	32
8. ცოდო-მაღლის ზღაპარი .....	32
9. ჩემი ამბავი .....	34
10. ქვის შეჭამანდი .....	35

### ზღაპრები

11. კარგ კვაას კირწზე შეეტყობა თავისი სიკეთე .....	36
12. სამი ყრუ .....	39
13. ღარიბი კაცი .....	41
14. ნუ ენდობი შეღებილ ადამიანს .....	44

### ადათ-წესები

15. შაბათი (მოსვენება) .....	49
16. ნიშნობა და ქორწილი .....	66
17. ტარეფა .....	69
18. საყე-ბურთი .....	70

### საწესჩვეულებო და მაგიური ფოლექლორი

19. ნათვალევის შელოცვა .....	70
------------------------------	----



20. ბატონები	71
21. შესაყვარებელი წამალი	72
22. შესაყვარებელი წამალი	72
23. შესაყვარებელი წამალი	73
24. შესაძულებელი წამალი	73
 დანართი	74
შენიშვნები	86
შემოქლებანი	89

## შემდგენლისაგან

დღეს ბევრ საუბრობენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით გამოწვეულ იმ უარყოფით პროცესებზე, რასაც თან სდევს უძველესი კულტურული ტრადიციების გაფურმრთალება ან სრული გაქორბა. აღნიშნული პრობლემის ებრაულ კულტურასთან მიმართებაში განხილვისას გასათვალისწინებული ხდება ის გარემოებაც, რომ ახალ, პრინციპულურ უკხო გარემო—პირობებზე ორიენტირებული ექსპერიმენტის რეპარატურულ ნაწილს ნაკლები შესაძლებლობა აქვს აქტორად განვითაროს დევნილობის პერიოდში ჩამოაღმინდებული ყოფითი და კულტურული ტრადიციები. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ყოველი წელი თუ არა ათწლეული მაინც, ხანგრძლივი განმორების შემდევ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებული ებრაელი ხალხის ისტორიაში, ესაა ერთს ზეპირი მატიანის ერთი დაყარგული ფურცელთაგანი, რომლის აღდგენაც მომავალში შეუძლებელია.

ასეთ შემთხვევაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არაისტორიულ სამშობლოში მცხოვრებ ებრაელთა ყოფისა და კულტურის ამასხველი მასალების გამოვლენას, მათ შემდგომ დაცასა და მეცნიერულ პუბლიკაციას. სწორედ ამ მიზან ემსახურება წინამდებარე კრებული, რომელიც მოთა რესტავრაციის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის არქევებში დაცული მასალების საფუძვლზე შედგნილი. კრებულში, გარდა ჩვენი საუკუნის 30-იან და 80-იან წლებში შეკრებილი მასალებისა, შეტანილია გასული წლის საექსპლიციო მუშაობის შედეგად მოპოვებული რამდენიმე ფილკლორული ნიმუშიც (№№ 10, 20). აქვე დავსძენთ, რომ წინამდებარე გამოცემაში ტექსტები დაბჭედილია უმეტესად უკვლეული სახით. მათში ნებისმიერი ჩარცეს შესახებ სპურიალურადა მითითებული შენიშვნებში.

ქრებულში წარმოდგენილი მასალები არ გაძლიერდება მრავალ-ფრთხოებით. ეს არცაა გასაკვირი. ებრაული ფოლკლორის ჩამწერა, როგორც წესი, აქცენტი უმეტესად ეროვნულ-რელიგიური ნიშნით გამორჩეულ ტექსტებზე გადაპქონდათ. მირითადად ამით უნდა ასხნას ის გარემოება, რომ არსებული ჩანაწერების მიხედვით, ქართველ ებრაულთა ფოლკლორი გაჯერებულია სარწმუნობრივი ხასიათის თემებითა და ბიბლიოური სიუჟეტებით.

იმ გარემოებას რომ, ოუდაზმი წიგნიერი რელიგია, ხელი არ შეუძლია ცალკეული სარწმუნობრივი ხასიათის თემისა თუ სიუჟეტის გახალხურებისათვის. ადრინდელ პერიოდში ამას განაპირობებდა წერა-კითხვის არასაყოველოთა ხასიათი, რასაც მოვციანებით ზედ დაურთო ის ტრაგიკული გარემოებაც, რომ სამშობლოდან გადახვეწილ ებრაულთა დღიძა ნაწილმა დაივიწყა მშობლოური ენა და ძულებული შეაქა მხოლოდ ზეპირი მონათხრობის სახით გასცნობოდა სარწმუნობრივი ხასიათის ღიატერის ფორმით. ყოველივე ეს ნოუტი ნიაღავს ქმიდა ბიბლიოური სიუჟეტების გახალხურებისათვის, რამაც შესაბამისი ასახვა ჭრეც ქართულწოვან ებრაულ ფოლკლორში.

ებრაულების ქართველებთან ხანგრძლივი თანაცხოვრება ბუნებრივია თავისითავად კულისხმობდა ქართული ენის სრულყოფილ ათვისებასა და მის ყოველდღიურ საურთიეროო ენად გადაქცევას. ასე თანაბაზნ ჭველი ბიბლიოური ენის გამოყნების სივრცე შეზღუდულ და, იყი, როგორც ღვთისმსახურების ენა, მხოლოდ ურთეული პიროვნებებისათვის გახდა ხელმისაწვდომი.

რჩებოდა რა თავისი რელიგიის აქტიურ აღმსარებლად ჯერ სამშობლოს ახლა კი მშობლოურ ენასაც მოწყვეტილი ებრაული ტაცი წინანდელზე მეტად ცდილობდა ზიარებოდა ღვთის სიტყვის საიდეალოს. ამგარად განწილა ბიბლიის ებრაულიდან ქართულ ენაზე თარგმნის აუცილებლობა.

თარგმნის საზოგადოდ და მითურგების წერილისა, რომელიც უზენაეს ჭეშმარიტებადაა მიჩნეული, უდიდეს პასუხისმგებლობას-თანაა დაკავშირებული. პასუხისმგებლობა ერთი ორად იზრდება მაშინ, როცა საუშე ზეპირ თარგმნის ეხება. ასეთ შემთხვევაში ორი-გინალისადმი მთარგმნელის დამოკიდებულება უაღრესად თავშეკავებულია. ამას უპირველეს ყოვლისა განაპირობებს ის გარემოება, რომ, როგორც ღვთის მიერ რჩეული ბიბლიოური წინასწარ-მეტყველი, მთარგნელიც ვალდებულია ყოველგვარი შელამაზების

გარეშე აცნობის ხალხს უფლის ნებასურვილი.

ფორმისა და შინაარსის მაქსიმალური სიზუსტით გადმოცემა ენბის სრულყოფილ ცოდნასთან ერთად, ბერძნივია, მხატვრული თარგმანის ხელოვნებაში განსწავლულობასაც მოითხოვდა. აღნიშნული აუცილებლობილან გამომდინარე სინავოგაში შეგირდად მიბარებულ ყმაწილს, ბიბლიის წარსთან ერთად საჭირო იყო შეეწავლა მისი ქრონიკ წარსე მეტყველების ხელოვნება, რაც, თავის მხრივ, მკვეთრად ჩამოყალიბებული და აპოლინებული მთარგმნელობითი სტილის თაობიდან თაობაზე მეტყვიდრეობით გადაცემის გზით ხორციელდებოდა.

ბიბლიის ზეპირი თარგმანების მდიდარი ტრადიციის არსებობას საქმარისი დამაჯერებლობით წარმოაჩენს კრებულში წარმოდგენილი ისეთი ნიშუშები, როგორიცაა შაბათი დღის აღწერაში შეტანილი საღვთისმახურო ტექსტები. ამ თვალსაზრისით, უთუოდ საიტერესო უნდა იყოს აგრეთვე 60 წლის აბრამ სეფიაშვილისაგან ჩაწერილი ტექსტი (იხ. დანართი).

ერადდებას იქცეს სარწმუნობრივი ტექსტების ზეპირი თარგმანის ძველი ქართული სალიტერატურო წინ სტილთან აშკარა სიხსრულე-მხედველობაში გვაქვს თარგმანში გამოყენებული ისეთი არქაული ფორმების სიხშირე როგორიცაა, მსაზღვრული საზღვრულის პოსტრინიციური წყობა, მაგალითად: სისხლი მისი, წვენი სისა-ძვლის, ჩე სანატრელი და სხვა; თანდებულის სახელის წინ გა-მოყენების შემთხვევები: ზჯა წვერსა, ზჯა თუხლსა, შინა ბჯლსა და სხვ.

ერთხელ ჩამოყალიბებული მთარგმნელობითი სტილის დაცვის თვალსაზრისით როგორც ჩანს გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა ზოგადად საღვთისმახურო ტრადიციის ქმნირვატოლობას. სწორედ აღნიშნული ფაქტორის გავლენით უნდა აიხსნას ის გა-რემონტა, რომ ბიბლიის ებრაულიდან ქართულ ენაზე მთარგმნელი უპირატესობას თანამდებროვესთან შედარებით არქაულ წომრივ ფორმებსა და ლექსიტას ანიჭებს.

რასაკვირველია ზეპირი ტრადიცია არ იძლევა იმის საშუალებას ზუსტად იქნას დაცული უძველესი წომრივი მდგომარეობა. აქ უპირატესად საუბარია ზოგად ტენდენციაზე, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ სათანადო ფაქტორივი მასალის საფუძლიანი შესწავლის შემთხვევაში შესაძლებელია წომრივი ქმნირვა-ტივიზმისა

და ენათა შორის გავლენების შედარებით სიღმისეული ფორმებიც გამოიკვეთოს.

წინამდებარე გამოცემა მოკლებულია შესაძლებლობას კრცლად და ასახოს ქართველთა გერაელთა მოწრ საუკრების მანძილზე შექმნილი მდიდარი ზეპირსიტყვიერი შემოქმედება და ყოფითი ტრადიციები. მოუხვდავად ამისა, ვფიქრობთ, იგი მაინც საქმარის საშუალებას იძლევა წარმოჩნდეს ის უმთავრესი ადამიანური ღირსებები, რამაც ასეთი შთამბეჭდავი სახე შესძინა ქართველთა და გერაელთა მრავალსაუკუნოვან მეგობრობას.

### პლაზმა და დუნაშეილი

## 1. ებრაული თქმულება

ერთმა ქალიშვილმა ქალმა ერთხელ, სხვათა შორის, პურის ცომი მოზიდა. მას ფრჩხილებში ცომი ისე ჩაკვროდა, რომ ხელის დაბანის შემდეგაც ვერ მოემორებინა.

გამოვიდა ქალიშვილი გარეთ ჩაცმულ-დახურული, დაიხედა ხელზე – ფრჩხილებში ცომის ნამცუკები ნახა. ძლიან შეწუხდა, აღარ იცოდა რით მოემორებინა თავიდან ისეთი დიდი ცოდვა, როგორიც არის ისრევლის ქალისთვის ფრჩხილზე ცომის დარჩენა.

იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა, ვიდრე იმ სოფელს მისი სხეული დაიწვებოდეს ჯოვანხეთში ყოველ დღეში სამჯერ, ჟეკეთესა ამ ქვევნად მოიშოროს შეცოდება. მოიგონა ორსულობა. მუცელზე ყოველ დღე და დღე უფრო მეტი ზომის ბალიშს იკრავდა – ვითომ ორსულად იყო.

გაუცემდა ხმა იმ უასწი, რომ ამომავალი კაცის ქალიშვილი გაუთხვავარა და ორსულად არის. ყველა ზიზღით უფრუბდა მას, პირში აუკრთხებდნ და ვალალას აფრიდნ.

ცხრა თვე რომ შესრულდა, მამასა და დედას სთხოვა მოეცემანათ მინიანი,\* ხახამ-თალმიდი.

მშობლები ასეც მოიქცენ. მოვიდა მათ ბინაზე მინიანი ხახამ-თალმიდი. გამოვიდა „ორსული“ ქალიშვილი, მოახსენა მათ რაც მოხდა, რა უბედურებაც ეწია და მათ თვალწინ შემოიხსნა ტანზე შემოქრული ბალიში. ხახამ-თალმიდებმა მოუწონეს ცოდვის მონაცემა, რაც გამოიხატებოდა მასში, რომ ვინაიდან მას ხელის ფრჩხილზე ცომის ნამცუკი დარჩა, გარეთ ისე გამოვიდა, მზემ შეხედა, ის იყო დავალიანებული ქარეთზე\*\* და იმ სოფელს კი ჯოვანხეთზე. ამის გამო მან სასჯელი მით მოიხადა, რომ ცოცხლად ხალხს ეზიზდებოდა ვითომ ორსულობისთვის, მაშასადამე, გათავისუფლებულია ცოდვებისაგან.

აუკრთხეს ქალიშვილი და მიმდინარე შაბათ დღეს სალოცავში გამოაცხადეს რაც მოხდა. ჯამაათმაც მოითხოვა ქალიშვილის გან-

\*ათი სრულწლოვანი მამაკაცი

\*\*გამოცდლის სიკვდილზე

თავისუფლება და წმინდანად დასახეს, რაღვანაც იშვიათია ასეთი  
ქალები.

## 2. შვილისთვის ჯონის დამკლები შვილის მტერია

როდესაც ისრეულის თალმუთორა\* არსებობდა, იმ დროს წესი  
იყო, ქურდობაზე ვისაც დაიჭირდნენ, სიკვდილით სჯიდონ და სა-  
ჯაროდ, ქვეყნის თანდასწრებით ტარალაჯზე ჩამოახრიოდნენ.

ერთი ახალგაზრდა, მზისა და მთვარის მსგავსი, დაიჭირეს ქურ-  
დობაზე. ხალხმა გაიგო, რომ ქურდის ამა და ამ დღეს ახრიობდნენ.  
აუარებელი ხალხი შეიყარა მის საყურებლათ. გამოიყვანეს ხელ-  
ფეხს შეკრული ქურდი, ბორკილების ხმა შორს გადიოდა. ქურდის  
დედა, ქვრივი ქალი, რომელსაც ამ ერთი შვილის მეტი არაფერი  
გააჩნდა, ფლასებში გახვეული მოთქამს და ტირის.

როდესაც ქურდი მოიყვანეს ტარალაჯთან ჩამოსახრიობად,  
დედამისი ახლოს, ხის ქვეშ დაჯდა და მწარეთ მოთქამდა. ჯალათმა  
მოამზადა ყველაფერი. ესეც არი ტომარა უნდა ჩამოაცვას ქურდს  
და დაახრიოს, ამ დროს ქურდმა შეხედა თავის დედა როგორ მოთ-  
ქამს და იგლიჯება. ჯალათს თხოვა:

— თუ ღმერთი ქრისტეს, სიკვდილით დასჯის წინ, ნება მომეური დე-  
დაჩემს უკანასკნელათ დავემშვიდობო და ანდერძიც დავუბარო!

ჯალათიც დაეთანხმა. ჩამოიყვანა ხიდან ქურდი, დაუძახა დე-  
დამისს და ნება მისცა ეთქვა რაც უნდოდა. ქურდმა უთხრა დედა-  
მის:

— დედაჩემ ახლოს მომზიდე ყური, მინდა რომ ჩუქად გითხრა ყურში,  
ანდერძი დავიტოვო.

გამწარებული დედა მოუხლოვდა შვილსა და ყური მოუწია, ეთქვა  
რაც უნდოდა. ქურდმა დასწია თავი დედისეკნ, გააღო პირი, დაავ-  
ლო დედის ყურს და მოაჭამა. სისხლის ღვარი წამოუკიდა უბელურ  
დედას.

\*სასწავლებელი

ხალხმა ჩოჩქოლი და ხმაური შექმნა. უფრო აღელდა ხალხი – ეს რა უღმერთო ვინძე ყოფილა, უბედური დედა მისთვის იგლოვება და იწერება, მისი ცოდვით ძველა იწვის, იმან კა თავისი გაჭირვება აღარ აქმარა, საწყალ ქვრივ დედას და ცოცხლათ ფური მოაჭამაო, ერთხელ კა არა, რომ შეიძლებოდეს, სამჯერ უნდა ჩამოახრჩო მაგ უღმერთოვო, – იყო ხალხში ლაპარაკი.

ქურდების ჩამოხრჩობას, როგორც ყოველთვინ, ახლაც ესწრებოდა ხემწიფე. ხელმწიფეებ რო შეხედა ხალხში ხმაური შეიქნა, თვითონაც მიიწა. რომ დაინახა ფურმოჭმული დედა წაქცეულია და სისხლის ღვარი დგას, გაუკვირდა, თქვა:

– ეს რა მხეცი ვინძე ყოფილა, ანგელოზივით ახალგაზრდა. ისიც ქმარა, რომ ქურდობისთვის მოუცია თავი და თავის დედა უფრო გაუცემდურებია, ფურის მოჭმას რაღას ერჩოდა?!

ქურდ ესმის ხელმწიფეის ლაპარაკი და ითხოვა:

– მარც უნდა ჩამოიხმარით და ერთიც ნება მომუკით ხელმწიფეებს რომ ორი სიტყვა მოვახსხო.

ხელმწიფე მოახსენეს. მოვიდა შორის ქურდთან ხელმწიფე და ნება მისცა, თქვა რაც უნდოდა.

– მოწყალე ხელმწიფე! მე რომ მამა მომიკვდა, პატარა დავრჩი, ხუთი წლიის. ძალიან ღარიბები ვიყავით, არაფერი გაგვაჩნდა; დედაჩემბა თორაზე მიმაბარა, ისე ღარიბათ ვცხოვრობდით, რომა აღებების საყიდელი ფულიც კა ვერ მოახურნა ჩემთვინ. დავდიოდი თორაზე, ხან ერთის აღებეტში ვიხედებოდი, ხან მეორესაში, ჩემი, საკუთარი არ მქონდა. სახში ტირილით მივდიოდი ხოლმე, გული მიკვდებოდა, რატომ არ მქონდა მეც სხვებივით სასწავლებლად აღებეთი. ერთ დღეს ავდექი, მოვიპარე აღებეთი და წავიღე სახში, დღის კა მეშინოდა, ვაი თუ გამიწყრეს-თქვა, მაგრამ დედაჩემბა გულში ჩამიკრა და მითხრა: „ შენ გერაცვალოს დედაშენი, რა კაი საქმე გიქნიაო,, ამის მერე მეც გავთამაშდი და მივყავი ხელი ქურდობას. ერთხელაც არ უთქვია დედაჩემ ჩემთვინ, ნუ შვები, შვილო, მაგას, არ ვარგა ქურდობაო, თვარამა, მე იმისთანა დამჯერი ვიყავი დედაჩემბისა, რომა მივატევებდი ქურდობასა და პატიოსან შრომას დავადგებოდი. ჩემ ფურებ არასოდეს არ ვაუკონია დედიდგან არ ვარგა ქურდობაო, მეც ქურდობამ ეს მისაბაბა და ამ ტარალაჯამდე მომიყვანა.

ხემწიფე და თული ხელა ხალხი უსმენდნ ქურდ და უკირდათ მისი

ლაპარაკი. მერე ხენწითე შეეყითხა:

- რატომ მოაჭამე დედაშენ ფური და სხვა არაფერი? 1 რიცხვის გადასაცმის გარეშე ქურდმა ხმამაღლა, ყველას გასაგონად თქვა:
- ფური მოვაჭამე. ფური იმიტომა, რომა მაგის პირიდან რომ ჩემ ფურებ გვევონა არა ქნა ქურდობაო, ვიმეორებ მე ავცდებოდი ახალგაზრდა კაცი ამ უბედურობასა და კაცი სხვა თუ არი, მეც ვიჭნებოდი ამ ქვეყანაზე. ახლა კი, აი, ჩემი ბოლო.

ქურდმა მისი შშევნიერი სახე ტალაღაჯისაკენ გასწია და დუღარე ცრებლები გადმოყარა თვალებიდგან.

ხალხი, სმენათ გადაჭცული, ალაპარაკდა, ხენწითეს კი შევცოდა ქურდი, გული მოულა და უბძანათ, გეუხსნათ ხელ-ფეხი ქურდისთვინ, აღარ დევეხრჩოთ.

ხენწითეს მეეწონა ე ახალგაზრდა ბიჭი და აჩუქა სიციცხლე. ხალხს უთხრა ფური დევეგდოთ მისი ნათქვამისთვინ და ხალხმა მოისმინა:

- ხალხო, ხომ გაიგონეთ ამ ახალგაზრდის სიტყვები. ესე ნიჭიერი არი, მაგიდან კარქი კაცი დარჩება. უნდა იცოდეთ თქვენე, რომა შეიღისთვინ ჯოხის დამკლები დედა – შეიღის მტერია. ვაჩუქოთ ამას სიციცხლე! ესე გამოსწორდება და ჩვენე ვეცადოთ, რომ ჩვენ სახენწითოში ქურდები აღარ გვეყოლოს.

ხალხმა ტაში დაუკრა და ხენწითესაც დიდი მაღლობა გამოიცხადა.

### 3. ებრაული ლეგენდა მეფე სოლომონზე

ერთ დღაკაცს უოლა შეიღო, რომელიც წელს ზევით აღმასნი იყო, ხოლო წელს ქვევით კი – მანინჯი, უფრო პირუტყვს წააგავდა თვეზის ბოლოთი.

მანინჯის შმობელი ძალზე შეწუხებული სტიროდა და მოთქვამდა თავის უბედურებაზე. ახლობლების რჩევით, მან გაახვია თავისი ნაშობი და მეფეს მიუყვანა სანახავად, თან რჩევისათვის მიმართა:

— რა კენა, მეფეო, რა უყო ამ ჩემს მიერ დაბადებულის? შეიღოდ არ ვარგა, პირუტყვად არ გამომადგება. . . მიშველე რამე!

მეფემ ქალი დააწყნარა, ანუგეშა, მოიხმო სასახლის პრძენები. ბერი იმსკელეს, მაგრამ ვერავითარი საშუალება ვერ გამონახეს ქალის სანუგეშოდ.

მეფემ მოიწვია დედა და მეუღლე, მიძართა მათ:

— ჩემო დედავ და ჩემო მეუღლე! დახვდეთ ამ მახინჯს, საჭიროა გავიგოთ რით ან რა საშუალებით შეიძლება, რომ ამ საბრალომ აღა-მიანის მსგავსება მიიღოს? სასახლის ბრძენები სდემან გახვეულივათ, მეფის დედა და მეუღლე გაჰვირვებული მისჩერებოდნენ მახინჯს და მის მტირალ შმობელს.

მეფემ წინადაღება მისცა დედას და მეუღლეს, ეთქათ სიმართლე, რის შედეგად მახინჯი მიიღებდა აღამიანის მსგავსებას.

პირველად მეფემ დედას მისცა სიტყვა. დედამ სთქვა:

— შეიღო, შენისოთანა კარგი შეიღო ჯერ მსოფლიოში დედას არ ყოლია — ბრძენი, ლამაზი, მდიდარი, დედის პატივისმცემელი, არაურით შენგან გულს არ მაკლია, ჩემო ძვირფასო შეიღო, მაგრამ რაკი სიმართლის თქმა აუცილებელია, ვაშობ: მამაშენი, დავით მეფე რომ ტალახიანი ფეხით მოდიოდეს და მის ჩრდილს თვალს მოკრავდე საღმე, მისი ტალახიანი ფეხის ჩრდილი მირჩევნა შენსა. რაკი მეფის სასახლეში სიმართლე ითქვა, ყველას თვალწინ, მახინჯს, როგორც ღრუბელი, ისე ჩამოშორდა წელიდან ჭიპამდე პირუტყვის მსგავსება, აღამიანს დაემგვანა.

შემდეგი სიტყვა მეფემ მეუღლეს მისცა. მეუღლემ დაიწყო:

— ქმარი ჩემისოთანა დოდებული და შევენიერი ჯერ ქვეყნად ქალს არ ყოლია, მაგრამ აივანზე რომ გადავდგები, მამაკაცებს ვუჰვრეტ, ჩემად ვათვალიერებ, იქნებ ვინძეს ჩემს ქმარზე უფრო ლამაზს მოკრა საღმე თვალი.

მახინჯი ჭიპიდან მუხლებამდე აღამიანს დაემსგავსა, რასაც იქ მყოფი, გაჰვირვებული, თვალს არ აშორებნენ.

სიტყვა თვით მეფეს მიეცა. სთქვა მეფემ:

— კაცი ჩემისოთანა მდიდარი მსოფლიოში არ მოიპოვება. ჩემი იქრი და ვერცხლი, ჩემი თვალი და მარგალიტი საჭურჭლებში აღარ ეტევა, მაგრამ როდესაც ვინძე ჩემთან მოდის, ხელებში მივჩერებივარ, თუ რაიმე საჩუქარი მოაქვს ჩემთან.

დაასრულა მეფემ სიტყვა და საბოლოოდ მახინჯი მოლიანად

ადამიანს დაუშესვავსა.

სიმართლის თქმის შედეგი ქვეყნიდან ქვეყნამდე ღუგენდად მოედა.

#### 4. არ შეურაცხყო

##### არავითარი ადამიანი

ერთხელ ერთი დიდი პარახოთი დაიღუმპა შუაგულ ზღვაში. ვინც კი პარახოთში იყო ისინიც დაიღუმპენ, არავინ გადარჩენილა, გარდა ერთი კაცისა, რომელიც ფიცარ დევჭიდა და მიყვა ზღვის ტალღებ. ფიცარზე ხელმოკიდებული ბევრი იხეტიალა საწყალმა და ბევრი ტრიალის მეჩვ, როგორც იქნა, ტალღებმა ნაპირზე გამოადო. ეშველა საწყალ კაც, ეღირსა ნაპირის დანახვა. გაღმოვიდა ზღვის ნაპირზე, მაგრამ ვაი იმ გაღმოსვლას – რომ დედიშობილა იყო, აღარაფერი ეცვა. სულ ტიტველი იყო. შერცხვა საწყალ კაცს თავისი სიშიშვლის, ჩაჯდა ქვიშაში და ქვიშით დაიფარა სიშიშვლე. ძალასან მოლალული იყო, მოქანცული, მშერი, მაგრამ რას იზამდა.

ერთი ხნის მერე გამოიარეს ისრეგლმა ჩალვადრებმა. შიშველმა კაცმა რომ დაინახა ადამიანები არან, წამოდგა ქვიშილან და შეეხვენა, მიშველეთ რამე ჩასაცმელი მაჩუქეთ შიშველი დავრჩიო, ზღვას გადაუტჩიო. ჩალვადრებმა კურადღება არ მიაქციეს, ვითამ არც კი გაუგონიათ; გიყე არიო, გაუდგენ გზას და წავიდენ.

მწარე ტირილით შეწუხებული ჩაჯდა ისევ ქვიშაში და მწარეთ მოთქვამდა თავის უბედურობას. ცვლაზე მეტათ კი სიშიშვლეს. უპ-კორდა ჩალვადრების გულტაობა და თავის თავ უკინებოდა, ამაირად უღმერთო ხალხი არც კი მინახია და არც გამიგონია, შევევედრე, შევეხვენა, აუცესენი ჩემი თავგადასავალი, ვთხოვე რამე ტანისამოის მაჩუქეთ – თქვა, რომ ტიტველი ტანი დავიფარო – თქვა, მაგრამ ჩემი ცრემლები იძაოსა არაურსათ ჩაგდეს, სამასხროთ ამიგდეს, გასწიეს და თავის გზას გაუდგენ.

მიშველი კაცი რომ ქვიშაში ვის, ტირის და თავის თავ მოთქვამს, ამ დროს გამოიარა ერთმა პატივცემულმა რაბიმ. რაბი დააკვირდა ქვიშაში მჯდომ კაც, მივიღა, მიუალერსა და შეეკითხა:

– რაშია, ჩემი ბიძა, მენი საქმე, რად ჯიხარ ქვიშაში, რა მოხდა ან ვინა ხარ და სადაური?

– პარახოთი დაიღუმპა, მე ერთ ფიცარ ჩავჭიდე ხელი, დიდი ვაი-

ვაგლახითა და გაჭირვებით, როგორც იქნა, ხმელეთზე გამოვყდი. ზღვაშ ტანისამოსი შემომახია, ტიტველი დაკრჩი, არ ვიცი რა ექნა, სად წავიდე, ვის მივმართო ამ სახით, ასე შემცელმა. აქა ისრეველის ჩალვადრებმა გამოიარეს, რაიმე ტანისამოსი ვთხოვე, ვიფა დამიძახეს, იცინეს და ფურადლებაც კი არ მომაქვიეს, ისე გულჭა ადამიანები ყოფილან.

კლაპარაკებოდა რაბის შემცელი კაცი, თან სირცეს იღლით თავ მაღლა ვერ იღებდა, სასირცხო ალაგზე ხელებ იფარებდა. რაბიმ მოუსმინა და ანუცემა:

— ნუ გეშინა, ბიძა, გამხნევდი, ღმერთი პატრიონია, ადამიანი ცოცხალი ყველაზე ღონიერია, რადგანაც კა შენმა გამჩენმა ღმერთმა სასწაული ვიქნა და ცოცხალი გადაგარჩინა, არაუერი გიჭირს.

რაბიმ გათხალა თავისი გძელი მაზარა, მისცა შემცელს ჩასცმელათ და ჩაცვა. წაიყვანა თავის სახლში, თავიდან ფეხებამდისინი ჩაცვა და დასხერია, ასვა, აჭამა, მოუარა, მეუჯვრა. რამდენიმე დღე და დამე თავის სახლში იყოოდა და მოასულიერა. როდესაც ეს კაცი კარგა გვარისათ მოღონიერდა და ძალა მოიკრიფა, ფულითაც დასაჩრეჭრა, გამოაცილა და გაუშვა თავის ოჯახში. მის დანახვაზე ჭეკვიდან შეიმაღლე რაღმე, ყველას ევონა, ისიც დაღუმულიყო პარახოთში, მაგრამ გამჩენმა არ გასწირა და ცოცხალი დაბრუნდა თავის ოჯახში. ზღვას გადარჩინილმა ჩამოუყვა ყველას თავისი თავგადასავალი, რანაირათ გადარჩა, ჩალვადრებმა რომ გაცინეს, ისრევლის რაბიმ რანაირათ მიიღო და დაფარა, ასვა და აჭამა, ფულით დასაჩრეჭრა და ისე გამოისტუმრა, თავის ადრესიც მისცა.

იმ ქვეყანაში ისრევლები მულდავე ჭირივით, რომ დაინახავდენ, აფერთხებდენ, მაგრამ ზღვაზე გადარჩინილმა რომ ჩამოუყვავე ისრევლის რაბის გულმოწყვალება და შებრალება, ყველა გააკვირვა იმის ნამშებმა. თუ ისრევლი შეიძლებოდა ადამიანის შემზრალებელი, იმათ არ ევონავე. ჩალვადრებიც ხომ ისრევლები იყვნენ, რომ არ მოიღეს მასზე შებრალება და მასხრათ აფედეს, არც არაფრათ ჩაგდეს.

გაიარა რამოდენიმე ხანმა და იმ ქვეყანაში მიიცვალა ხენწიივე. ხალხმა იტრია, ივლოვა, დასავლავა როგორც ხენწიივეს ეკუთვნოდა და შეკედებ ასალი ხენწიივის ტბნას. და ბოლოს აირჩიეს ის კაცი ხენწიივეთ, რომელიც ზღვას გადაურჩა. შეკედება თუ არა ეს კაცი ხენწიივისას, მართვა დაიწყო ისე, როგორც ხენწიივეს შეკუჭრებოდა, ჩველას მიიღებდა, მოუსმენდა, მეუხმარებოდა და შეიბრალებდა.

სამი თვის განმავლობაში იმისთვის სახელი და დიდება დაიმსახურა  
ამ ხეწიფებმ, რომ ყველა გააკვირვა თავისი ნიჭითა და მორს-  
მჭერეტელობით. ხეწიფების ვეზირები გაკვირვებულები იყვნენ; — საჯ  
მიღლოვო ამდენი გამოცდილებაო, მაგრან ვერაფერ უბედავდენ რომ  
შეეკითხათ რამე.

ქრთ დღვების დღეს ვეზირებმა შეგუარეს თავი და მოილაპარაკეს,  
იმისთვის რამე ვწათო და ჩავასმინოთ ხეწიფებსაო, თვემა ქვეყანაშ  
რომ ჩვენზე იღამარაკოსო და გადაწყვიტეს ისრეელობის ამოხოვა.  
შეუძლენ ხეწიფებს და ურჩიეს, რომ გამავათა ვეზერა,\* ამოებოცნა  
ისრეელობა, თვარამა ისინი ისე მოიკიდებენ ფეხ და ისე  
გაძლიერდებოდენ, რომ ხეწიფების წართმევდენ და შეურაც-  
ხეოფენენ.

ხეწიფე კი იყო ნაწყენი ისრეელის ჩალვალრებიდან, როდესაც  
ის გაჭირვების დროს მასხრათ აიგდეს და ყური არ ათხოვეს. იმან  
იფიქრა, რაღვანაც მე ისრეელი არ ვარ იმიტომ არავრად ჩამაგდესო,  
მაგრამ ისევე ისრეელის რაბიმ რომ მოიღო იმაზე შებრალება, იმისი  
კი ეხაორებოდა. ასე თუ ისე, ვეზირებმა მაინც თავისი გაიტანეს და  
გააკვეთონეს გეზერა, რომ ამოებოცნათ საისრეელო.

შეუძლენ გაკვეთილობის შესრულებას. დაიწყეს ისრეელობის  
ულეტა. ვისაც კა წევნეოდენ ისრეელს დიდსა და პატარას დაუნ-  
დობლად ულეტდენ. შეწუხდა ისრეელისმვილი, მეტისმეტი ამო-  
უხოცეს, აღარაფერი ხეირიანი არ გაუშვეს მათი, მოვიდენ და თხოვეს  
რაბის: “რაბი ბატონო, გვიშველე რამე, რომ ისრეელის თესლი თლათ  
არ მოსპოს. ვინც დავრჩით ისინი მაინც ნუდარ დავიხოცებით, მიდი  
ხეწიფესთან, შეეხვეწე შეაჩერის გაკვეთილი გეზერე, კმარა რაც  
ამოგვულიტეს. იქნება გაგიყიდეს რამე.”

რაბიმ რა იცოდა ვინ იყო ხეწიფე, ჯერ გრ ბედავდა მოსვლას და  
თხოვნას, მაგრამ ბოლოს გაბედა, მივიდა ხეწიფესთან. ხეწიფეს  
მოახსენეს ისრეელების რაბის უნდა შენი ნახვაო. მიიღო ხეწიფები ისი  
და როგორც კა დაინახა და იცნო თვარებ, ჩამოვიდა თავისი ტახტიდან,  
თაფვანი სცა რაბის, მოეხვია და მოკოცნა. ხეწიფე ეკითხება რაბის,  
მიცნობ თუ არაო, რაბიმ მოახსენა:

— გიცნობთ, ხეწიფე ბრძანდებით, მეტი მე თქვენი ცნობის არაფერი ვიცი,

\*სასჯელი

ჩვენისთან უბედურ ხალხ კინ იყადრებს საცნობათ ან სალიპარაკოთ, ქვეყნაზე რომ დაკიარგით, ისიც არ უნდათ, გეზერა არი გაკვეთილი ისრულის შვილის ამოსახოცავათ, რად ნებულობთ, თქვენ დაღოცვილო ხეწიოფეო!

— რაბი, მე ის კაცი ვარ, რომელიც რომ ზღვას გადაუჩინა, ისრულმა ჩალვადრებმა შიშველ-ტიტველი ჭიშმაზე დამტოვეს, პირიქით თავში მირტყეს და მასხრათ ამიგდეს, მაგრამ ღმერთმა შენი თავი გამომიგზავნა მხსნელათ. შენ წამიყვანე, შენი მაზარა ჩამაცვი, მასვი, მაჟამე, მომიარე, ფულიც ბლობად გამომატანე და კილვაც გამომაცილე.

რაბის ძალიან გაუკვირდა ეს ამბავი რომ გაივონა და ღმერთს მადლობა მოახსენა საკვირველების ქმნისთვის. მოუბრუნდა ხეწიოფეს და უთხრა:

— თქვე დალოცკვდლი, კრიმა და ორმა ბრიფება თუ კილვაც გაწერინათ, იმის ჯავრ თელ საისრელოზე იყრი? და გავიკვეთა გეზერა ისრულის ამოსაჟლეტად, ცოდო არ არი ხალხი? რაც ერჩი ყველას? ხალხმა ამომირჩია და გამომგზავნა შენთან, ვიშეამდგომლო, აკმარი ისრულისშეიღს ხოცვა და მოიღო მათზე მოწყალება, აპატივ მათ თავიანთი შენაცილდარი.

რაბიმ ხეწიოფეს თავი დაბლა დაუკრა და ჰასების ლოდინში თავი მაღლა არ აუწევია.

ხეწიოფეს ძალიან შერცხვა, რაბის წინ დაიჩოქა და უთხრა:

— რაბი, დაწამევ ვარ შენი ხალხის წინაშე, კოთხოვ ჰატიებას. რაც გინდა მოხოვე, შეგისრულო. დღეის იქით შვილათ მიგულე, მიმიღე. მეც შეცდომაში შემიყვანეს, ხალხი ძლიერია და რა ვწა, რაბი ბატონო?

ხეწიოფემ რაბის ხელშე აკოცა და მისცა ჰატიოსანი სიტყვა, რომ ამიერისაგან ისრუელებსა და მათ შერის დამყარდებოდა ძმური და მეგობრული კავშირი.

ხეწიოფემ რაბი დაასაწერება. მოიწვია ყველა დიღუბული კეზირი და ყველას გასაგონებლად დაიძახა:

— ეს არის ის რაბი ისრული, რომელმაც მე მიხსნა გასაჭირიდან. მიშველა ზღვის ჭიშმაში მყოფს, ჩამაცვა-დამახურა, შვილივით მომიარა და სული შემარჩინა. ხალხო, კმარა ის მტრიბა და ორგულობა, რაც აქამდე ჩვენ შერის იყო, ამიერიდან უნდა დავმეგობრდეთ და ვიცხოვროთ ტკბილ-მეზობლურათ.

ხალხი ხეწიოფის სიტყვას ვერ გადაუკიდოდა, პირიქით, მოუწონეს ნათქვამი და მეწყდა ისრულის შვილის კავშირი.

დაბრუნდა დიდი საჩუქრებით რაბი და უთხრა თავის ჯამათს როც მის თავშე მოხდა და გადაიარა. ჯამათი გულდასმით უსმენდა რაბის, რაბიმ საბოლოოდ უთხრა თავის ჯამათს: “აღ თუ მაშინა ღეხოლ ადამ!”\*

ხალხმა მისცა რაბის სიტყვა, რადგანაც გეზერას გადაურჩნენ, რომ დღეის იქით იცხოვრებდენ შემჭიდროებული და ერთმანეთსაც მისცეს სიტყვა, რომ ამიერიდან არ შეურაცხევოთ არავითარი ადამიანი და ჰველა ხალხთან ქონებოდათ ძმობა და მეგობრობა.

## 5. მამის ანდერძის

### შემსრულებელი

ჭკანად ცხოვრობდა ქრის ხასიერ\*\* კაცი, რომელიც არასოდეს არ დაიფიცირდა, არც სიცრუტზე, არც სიძროლეზე, რაც უნდა აუცილებელი საჭიროება ყოფილიყო, მაინც არ დაიფიცირდა.

ამ ხასიერს დიდისაგან დიდი სიმდიდრე ქონდა. ქრის შვილის მეტი არაფერი გააჩნდა, რომელიც თავის სუიცოცხლეს ერჩია და იძასაც ისვეე ავონებდა, რომა მამის ჩვეულობა არ დაუდო და ღმერთის სახელი არ ესსენებინა ვაგლახათ და არც თავის სიცოცხლეში არაფერ საქმეზე არ დევიუცნა. შვილი უგონებდა მამამის და არ იფიცირდა, არც ღმერთის სახელ არ იხსენიებდა ვაგლახათ.

იქნა გამჩენილან წყალობა და მოახლოვდა გადაცვალების დრო. როგორც კი იღრმო ხასიერა, “მე ვვარ მოვრჩები და გამჩენმა თავისი ამნათი უნდა ჩაიბაროს” – დაუძახა თავის ქრისტერთ შვილ და უთხრა:

— შვილო, მოვახდა დრო ჩემი გადაცვალების. ყოველი გაჩენილი უნდა მოკვდეს, ასეა გამჩენის გადაწყვეტილება. უნდა შეურიცელე შეწევ ამ ძველმარეობასა და ამ ამბავს. დამიკდე ყური, რაც დაგიბარო, გაფიცებ ჩემ მამაშვილობას, შემისრულე. ჩემი სახვეწარი არი შენთან, რომა, როგორც დღემდისინ არ დაგიფიცნია, ისე არც აწი დაიფიცო,

\*არ შეურაცხეო არავითარი ადამიანი

\*\*მართალი

იცოდე, რა გინდა დიდი გაჭირუებაც არ უნდა მოგადეს, თუ გინდა თელი ჩემი დატვებული ქონებაც რომ ვიშტე წაგართვას და დჟეპარქოს, გიბარებ, მაინც არ დაიფიცო. მე გამჩენმა ჩემი სი-მამართლით გამომარჯვა, არაფერი დამიკარქა, ქონებაც ბეჭრი შევიძინევი სიმართლით და ცხოვრებაც, ხალხში პატივისცემასაც შენი თვალით ხედამ ჩემსას, აწი შენ იცი და შენმა კაცობამ.

— მამაჩემო, ვფიცამ შენს მამაშვილობას, შენი მოქმედება ყველაფერი შევასრულო. მოვალე ვაარ: არ დავიფიცამ არც სიმართლეზე და არც სიცრუეზე, შენ თხოვნას არ დავაგდებ, — უთხრა შვილმა მამას.

როგორც კი მოისმინა მამამ შვილის მონახსენები, მოყვა ვიღები,\* დაიკრიფა თავისით ხელები გულზე, დახუჭა თვალები და მიიცავა.

ხასიათი რომ გადაიცვალა, შვილმა შეუსრულა ისრელის წესი ყველაფერი, არაფერი დაუკლია, კადიში მაპტირი,\*\* მოუკარა მამის დატოვებულ ქონებას, თუ მოუმატა, თვარება არაფერი მოუკლია. როგორც მამამ თხოვა, არ იფიცამდა არც სიმართლეზე, არც, მთ უმტესად, სიცრუეზე ცხოვრობდა ასე ბეჭნიერათ და კეთილათ თავის ცოლ-შვილში.

კუთხე-მეზობლებმა იცოდენ, რომა ისი არ იფიცამდა. შეიქმა მითქმა-მოთქმა ხალხში, — ამოდენი სიმდიდრე რათ უნდა, ცოტა რა-მეო იქნება ჩვენც გვერგოსო. ადგა ერთმა ავმა კაცმა და მივიდა ხასიათის შვილთან. მასპინძელმა მიიღო სტუმარი.

— მობანდით, მეზობელო, რაზე შეწუხებულხართ?

— შენ შემაწუხე და მამიყვანე, თვარამა სხუმისაც არ შემომიღა მე თქვენი კარი, — უპასუხა ავმა კაცმა.

— მიბანეთ, ბატონო, რითი შევაწუხეთ, მე არაფერი ვიცი, მერწმუნეთ; რაში ვარ თქვენთან დამნაშავე?!

ავმა კაცმა ხმა აიმაღლა და რიხიანათ დაიწყო:

— შე მამაცხონებულო, ამ მამაშენის ქონებას რომ დაჯერები და ჭამ, რავა ვაალ აღარ უნდა გასტუმრება?!?

— რისი ვაღი, ბატონო, სადაური?! მე არაფერი ვიცი.

— ძალიან კარქათაც იცი ყველაფერი, მავრამა თავ იკატუნდა — არ იცი, ეშმაკურათ მექცევი.

\*სიკვდილის წინ ღორცა

\*\*სულის ხენება

- მერწმუნეთ, რომა მე პირველათ მესმის, მამაჩემ რომ ვინმეს ვალი ქონებოდეს, ცხონებულ ჩემთან არაფერ არ დაუმალია და არც მაგას დამიმალადა, რომ მაგრე ყოფილიყო საქმე.
- აპა, მე ტყუილ ვიგონებ, სხუმის როდის იყო, რომ მე სიცრუეს ვამბობდი, არც კი ქრცხვენა შენ ოჯახში მლაბრდამ, ბოლოშის მოხდის მაგიერიათ.
- არაფერი საბოდიშო მე არა მაქ არავისთან, მამაჩემ არავისი ვალი არ ქონდა და არც ვიცი მე არაფერი.
- თუ მამაშენ ჩემი ვალი არ ქონება, დაიფიცე ასა შეწე და მეტი არაფერი მინდა.
- არც ვიფიცამ და არც არაფერი ვალი არა მაქ შენი.

იქით-აქეთ დაიწყეს ლაპარაკი, ხასიდის შვილი არ იფიცამს, ავი ჭაცი არ ეშვება, — მამუკიო მამაშენის ვალიო. უჩივლა და გადა-ახდევინა სამასი თუმანი ფული, რადგანაც ხასიდის შვილმა მამის ანდერძი არ გატეხა და არ დაიფიცა.

ავმა კაცმა რომ სამასი თუმანი ფული წაართვა და გაიმარჯვა, ახლა კიდე სხვებიც გამედავა, ყოველი კუთხიდან მიესიენ, — ჩემიც ამდენი გმართა, ჩემიც ამდენიო, თუ არა დაიფიცეთ. ხასიდის შვილი არ იფიცამდა. მტრებმა თლათ წაართვეს მამის დატევებული ქონება. ისე დაღარიბდა, ისე, რომა აღარაფერი დარჩენია. ცოლ-შეილით დღიურ სამუშაოზე გასვლის მეტი აღარაფერი საშუალება აღარ ქონდა. ადგა და დაიწყო დღიურ მუშაობა, იქნება ლუკმა-პურის ფული ვიშოვნოთო.

ხალხი თვალით უფერებს მის გაჭირვებას — დღიური შრომით ცხოვრობს, გაჭირვებულია, აღარაფერი აღარ გააჩნია, მაგრამ მაინც არ იფიცამს. ერთმა კაცმა თქვაა: — ამას თუ არ დავაფიცებინო თავი რათ მინდა ცოცხალიო. მივიდა და უთხრა:

— ე თვლი ქვერის ვალები რომ დაისტურე, მე რაღა დავაშვე. რომ არ მიხდი მამაშენის ვალი, შენ ხომ კარქათ იცი, ერთი თუმანი მართებდა მამაშენ ჩემი.

— არაფერი ვიცი, კაცო, მემესიეთ, გამჩენის წინ არი გაცხადებული, არაფერის პატრონი აღარ ვარ, თვარამა როვორც სხვებმა წამართვეს, შეწც მოქუცებდი და მამაჩემის ხსენებას არავის დავამცირებინებდი.

— დაიფიცე აპა თუ არ ქონდა მამაშენ ჩემი ვალი და მოქმორდები.

იმან არ დაიფიცა, ის არ მეეშვა, წავიდა, უჩივლა და სასა-მართლომ მოუსაჯა უნდა გადევხდევინა ერთი თუმანი. რომ ვერ

გადაუხადა და აღარიაფერი გააჩნდა, დაიჭირეს და ციხეში და-  
ამწყდიეს, სანამდისინ არ გადაიხდიდა, არ გამოუშვებდენ.

ქმარი რომ ციხეში დაუჭირეს, ადგა მისი ცოლი და მესა-  
რეცხვება დაიწყო. არ იქნა და ერთი თუმანი ვერ შეაგროვა, რომ  
ქმარი გამეუშვებინა. იყვენ საწყლები ამ გაჭირვებაში. მისი ცოლი  
მეტის მეტი პატიოსანი და სათონ ქალი იყო. თავისი ნაშესის ქვეშ  
კვდებოდა, არავინ დამხმარე და პატრონი არ ყავდა.

საღაც ისინი ცხოვრობდენ ზღვის პირი იყო. მისმა ბავშვებმა  
დაიწყეს ზღვის პირას სიარული, როცა პარახოთები მოვიდოდა,  
მეზღვაურები სარეცხ აძლევდენ ხოლმე. მოიტანდნენ ბავშვები სახლში,  
დედა გარეცხამდა, გაატანდავე გარეცხილ მიჩვეულ მეზღვაურებთან,  
ისინიც ფულ აჩუქებდენ – პატიოსანი და წესიერი ბავშვები იყვნენ  
– ცოლებიდათ.

ერთ დღეს ბავშვები ავათ იყვნენ. პარახოთის მოსელის დღე იყო,  
ადგა ქალმა და თითონ გავიდა ზღვის პირას სარეცხის მოსატანათ.  
მოვიდა თუ არა პარახოთი, უფროსი დაბლა ჩამოვიდა, სარეცხი  
ჩამოიტანა, ექებს ბავშვებ და ვერ დაინახა. მერე ქალი მიხვდა, „ესეთ  
ნაძლევლათ ჩემ შეიღებ ექმის“ და მორცხვათ უთხრა, – მე ვართ  
თქენი სარეცხის მრეცხელიო, ბავშვები ავათ გამოხდენ და მე თვითონ  
მევდიო.

პარახოთის უფროსმა რომ შეხვდა ქალ მზესა და მთვარეს  
გაავს, მეეწონა. გამოკითხა ვინაობა, ქალმაც აუქსინა თავისი მდვო-  
მარეობა და უთხრა თავისი გაჭირვება, რომა ქმარი ციხეში ყავს,  
ერთი თუმანი ვერ მოახერხა მის დასახსნელად, შვილები ორივე  
ავათ გაუხდა და თითონ გამოვიდა სარეცხის წასაღებათ.

პარახოთის უფროსმა გაატანა სარეცხი, ერთი თუმანი ფულიც  
წინდაწინ მისცა და უთხრა, – ამა და ამ დროს შენი ხელით ამო-  
მიტანეო პარახოთშიო და ამ ერთი თუმნითათ შენი ქმარი დაიხსენიო.

გახარებული ქალი საჩქაროთ გამომტუნდა, მოიტანა სახში სარეცხი  
და ერთი თუმანიც ფული. ბავშვები სიხარულით ცას წვდებოდენ –  
ამ თუმნითათ მამას გამოვისნითათ. როცა ქალმა სარეცხი გარეცხა  
და გაამზადა, ამსობაში ბავშვებმაც მოიკოტეს. ქალმა გააცვა სუფთათ  
სარეცხი და წაიღო, ბავშვები კი ქმართან გაგზავნა გამოსახსნელათ  
და თუმანი გაატანავე.

როგორც კი შევიდა ქალი პარახოთზე თვარება – უფროსს იმ  
დროს ყავდა დაბარებული, როცა პარახოთი უნდა ანძრელიყო – ამ

დროს ბავშვებმაც მიირბინეს ზღვის პირზე დედის მისახარებლათ, რომა მამა გამოიხსნეს და სახში მივიდა, დედა იმ დროს პარახოთის კიბეზე აღიოდა ხელში სარკვებით, ბავშვებს ხელი დაუქნია.

ბავშვებმა ზღვის პირს მოიცადეს. ქალმა პარახოთის უფროსს შეუტანა გარეცხილი და მიაწოდა. უფროსმა ზღლილობიანათ ჩამოართვა ქალს გარკვებილები და ჯიბიდან ფული ამოიღო, ამ დროს პარახოთი აინძრა და წავიდა. ქალმა იკივლა, მიშველეთ, დავრჩიო, მაგრამ ეს მოწყობილი ქონდა ასე პარახოთის უფროსს, რომა ის ქალი გეგტაცებია.

ბავშვებმა მორთეს კივილ-წივილი, თელი ზღვის პირას მყოფი ხალხი დაიწვა იმათი ცოდვით, — დედა მოქვტაცა პარახოთმაო, ველარ მოასწრო გადმოსვლათ.

მიდის პარახოთი, კივიან ბავშვები, ხალხი ეხოვათ, უფერებათ, ბლავიან ბავშვები, არ ჩემდებან, სანამდი პარახოთი თლათ არ დაიმალა შეა ზღვაში, მანამდი იკივლეს. რომ მოიღალნებ და მოიქანცენ, წავიდებ მამამისთან და უთხრეს რაც მოხდა, — დედაჩვენიო პარახოთმა მოიტაცაო. ხასიდის შვილმა დაიწყო ტირილი, შემოიხია ტანზე რაც ეცა, აღარ იცოდა რა ექნა, ძალიან რომ დაიღალა და გონზე მოვიდა, მოკიდა ორივე შვილებ ხელი და წავიდა, თან წაიყვანა შვილებიც. “მე აქ აღარ მედგომებაო, ჯველაფრის დაკარჭვა გადავიტანეო, მაგრამა ცოლის დაკარჭვას ვედაო ავიტანო.” წავიდა და იარა, სხვა-დასხვა ქვეყნები მოიარა. ბოლოს მივიღენ ერთ ქვეყანაში, სადაც მდინარე წყალი ზღვას უერთდებოდა. მდინარე მოდიდებული იყო, ბავშვებმა ცურვა არ იციდებ, შეისვა ორივე შვილები მხრებზე და შევიდა მდინარეში გასასვლელათ. შემოკრა ტალღებმა და წააჭია კაცი, ორგვე ბავშვები მდინარემ წაიღო, ბავშვებმა ერთი ფიცარის ნაჭერ ჩამეუკიდენ და არ დამხრჩალან, დაინახეს ერთი დიდი პარახოთიდან, გადაარჩინეს ორივე და პარახოთში ტყვებათ აიყვანეს. იმათმა მამამ ცურვა იცოდა და სხვა ქვეყანაში გაცურა ნაპირზე და გავიდა.

შევიდა კაცი ერთ ქვეყანაში, შიშველია და ტიტველია. არაფერი აცვაა. დადის ზღვის პირზე, რცხვენია, დედიმობილათ არი. შეხვდა ერთი კაც და კითხა:

— ვინ ხარ, რა სურიელი ხარ, აქ რას აკეთებ ან რა ხელობა იცი? — თუ იწამებ ღმერთ და რამე სამუშაოს გამომიძებნი, გამოგადვები, წერა-კითხვაც ვიცი, წამიყვანე და გამამცადე.

— ჩვენთან არ გვჰირია წერა-კითხვის კაცი, ჩვენ გვინდა მწყების. თუ გინდა, წამოდი ჩემთან, ცხვარ მოგცემ სამწევსავათ და თუ ხეორიანათ იმუშავებ, სასმელ-საჭმელ არ დაგაკლებ, ხეორიანათ იმუშავე, ცხვარს არაფერი დაუშავდეს, თუ სარ თანახმა, წამომყევი. ხასიათის შვილსაც მეტი რა გზა ქონდა, მოიხურა იმ კაცის მიწოდებული მაზარა და გაყვა.

მიაბარეს ფარა. დაიწყო მწყებისობა. წაყვება ცხვარ და წამოყევა. მამის ანდერძი მაინც არ დაუგდია, სულ მუდამ ახსოვს და არც იფიცამს. დარღიანი ცხვარზე აყოლებს გულს, მოაგონდება თავისი მამა, სიძღიდორე, ცოლი და შვილები, სუსველაფერი დევდუა, აღარაფერი გააჩნია, გარდა სვინდისისა. თავის დღეში კაცისთვინ ცედი არ უქნია და არც დაუფიცნია. ინახამს მამის ანდერძს.

მიყვება და მოყვება ცხვარს, ფიქრიანათ არი. ერთ დღეს გზა დევბნა და დარღიდან ცხვარი სხვა წყალზე წაიყვანა წყლის სასმელათ. გზაზე უთხრეს იმ წყალთან ნაპირზე არ მიხვიდე თვარება ცხვარიც დევდლუპება და შენც დაიღუპებით. ბოლოს გემერკვა, ეს რა დამსართია, სად წამოვსულვარო. შეჩერდა, თითონ მიწის წყლის ნაპირზე და გაიფიქრა მაინც დაუსრულებლად ვიტანჯებით, მოდი ამ ოხერ წყალში გადავარდები და ბარელმა დავიხსრიობით. ამ დროს წყლის ნაპირზე ქვეწარმავალი გამოჩდა, რომ შეხედა, შეეშინდა, “ამან რავა უნდა შემჭამოსო, ეშმაკ სული რავა ჩავაბაროვო.” მობრუნდა. მიდის, უახლოვდება ცხვარსა და ესმის ხმა. ვინდალა უძახის: — იოსეფ! იოსეფ!

მოიხედა უკან, დაინახა ანგელოზის შეგავსი, შეჩერდა და შეკითხა: — რას მიბრძანებ, ბატონოვო?

ანგელოზმა უთხრა: — იოსეფო, ამდენი ზანია გამოგზავნილი ვარ შენთან, რომ მოხვიდე ამ წყლის პირს და გიჩვენო ის ხაზინა, რომელიც შენთვის არი შენახული. როგორც იქნა, დღეს გაგიბეჭნა და წამოსულხარ ამ მხარეზე, წამოდი მომყევი, აი ამ აღვილზე მოთხარე მიწა და შეი ოქროს ზოდებია შენი საკუთრება. რადგანაც შენე მამიშენის ანდერძი შეასრულე და არ დაგიფიცნია, ღმერთისა შენთვის გადადევა ეს სიძღიდორე, მარტო შენ უნდა მოიხმარო, წადი ქალაქის თავთან, შეეგაჭრე, რაც მოქთხოვოს ამ წყლის პირში მიეცი და შენ აქ ააშენებ დიდისაგან დიდ შენობებსა და სარაიებსო, შენ დაგარგულსაც კვლას ნახავ და რომ იყავი, კადვ უკეთესად იქნებით.

ანგელოზი გაქრა, აღარ ჩანდა. გაუკეირდა ამ ტაცს, “ეს რა ამ-ბავია ჩემ თავზეთ”. თავისი თავი სიზმარში უონა. მოვიდა გონზე, მიხედა თავის ცხვარ, გასწია თავის გზაზე და დააბიავა ცხვარი.

მოელი დამე არ დაუძინია, ფიქრობდა რავა მოქცეულიყო, რავა უჯობდა. ბოლოს გადაწყვიტა, “რაც იქნება იქნებაო, უნდა ვშინვი ბედი.” ჩააბარა ცხვარი თავის პატრონ, დიდი მაღლობა გადაუხადა თავის შეფარებისთვინ და გაუსწორა ანგარიშიც.

წამოვიდა იმ ადგილზე, სადაც ანგელოზმა აჩვენა, ნახა, მაგრამ რა ნახა მისმა თვაღებმა, სულ ოქროს ზოდები აწყვია უზომო და უანგარიშო. მიაყარა ისევ მიწა. წავიდა ქალაქის თავთან და თხოვა, მიყენდნა მისთვინ ის ადგილი. ქალაქის თავმა იფიქრა, “ეს ვინძალა გიერ თუ არი, თვარება რათ უნდაო.” დაუფასა მაღიან ძეირი. მორიგეონ. მოთხარა ოქროს ზოდები, დააყენა მოები. გააშენა სახელმწიფო შენობები და სახლები. დაინახა ხალხმა, ამ კაცმა დადგებული შენობები გააშენა. ყველა იმაზე ლაპარაკობდა, “რა ჭრიანი კაცი ყოფილაო.” ხენწიფე არ ყავდათ და იგივე აირჩიეს ხენწიფეთ.

რაც უცხო ჭვენის პარახოთები მოდიან, ჩერდებიან და ათვალიერებენ ამ უცნაურ შენობებ და უკვირს ყველას ამ ახალი ხენწიფის სიმღიდორე. ჩამოიცვლიან, დაათვალიერებენ, აუცლიან, ჩამოუცლიან. დაუმევობრდნენ და დაიწყეს იმასთან ვაჭრობა, რაც კი საუკეთესო პარახოთი ჩამოვა, ძვირფასი საქონლით, ყველას ამ ხენწიფის კარზე მოაქ ყოველივე თვალმარგალიტი და ფარჩეულობა.

ყველაურით გული მსუეყ აქ ხენწიფეს, არაუერი აკლია, მაგრამ ხშირათ ისე დაჯავრიანდება ხოლმე, სიგიფებდე მივა. ვერც უბედამენ კარისკაცები და ვეზირები, რომ შეეკითხონ მიზეზს, უკვირს კი ყველას, “ამისთან დადგებული ხენწიფე ცოლშეიღს რატომ არ გაიჩნის,” ერთმანეთს ეკითხებიან.

ამ ახალმა ხენწიფემ იმისთანა სახელი გაითქვა, იმისთანა ნდობა და სახელი მოიხვეჭა, უკეთესი რომ არ შეიძლება.

ერთ დღეობის დღეს ქრთი დიდი პარახოთის უფროსი ეახლა ხენწიფეს დიდისაგან დიდი საჩუქრებით. უფროსის საჩუქრები ორმა ახალგაზრდამ მოუტანა. ხენწიფებ იცნო — ორივე ახალგაზრდა მისი შეიღები იყვნენ, წყალმა რომ მოსტაცა და უფროსს თხოვა, — ეს ორი ქამ მე დამიტვე სამსახურშიო. პარახოთის უფროსი ტკილი კი არა სულიც რომ ეთხოვა, იმაზე არ ეტყოდა უარ. ადგა და ორივე დაუტვევა. მამამ არ გაუმხილა შეიღები თუ თავისი შეიღები

იყვნენ, ისე კი თვალ ადევნებდავე, იმათ ყოველ მოძრაობას უკირდებოდა, უხაროდა თავის გუნდაში, რომ შეიღები დაკარტული იპოვნა, ეფერებოდა კიდევაც სხვებზე მეტათ ორივეს.

რა დღის შემდეგ, იმ ზღვაზე მოვიდა ი პარახოთი, რომელმაც მისი ცოლი მოიტაცა, მაგრამ ვინ იცოდა, რომა ან ვინ მოიტაცა, ან სად ვინ წაიყვანა. პარახოთის უფროსი კი ამ ქალს გვერდიდან უთი წუთითაც არ იშორებდა, სულ თავის თავთან დაფავდა ზღვაზე და ხმელეთზე. ამ პარახოთის უფროსს რომ გვევო, რომა ამა და ამ ზღვის პირზე ამისთან დიდებული შენობები გააშენა ვინაბდა ახალია ხენწიფებით, წამოსულიყო — ვნახამო. რომ მასუნა პარახოთი ნაპირზე გადმოვიდა, ქალი ჩაეტილი დატევა თავის ოთახში — “არავინ დეკლასარაკის, ეშინოდა ან არ გრძელებეს” — გადმოვიდა პარახოთის უფროსი, დიდი საჩუქრებით მაღდა დიდებულ ხენწიფებს გასაცნობათ და მისი შენობის დასათვალიერებლათ.

ხენწიფებიც მიიღო, დაათვალიერებინა ყველა შენობები, მერე სურაზე მიიწვია, იმ ქალაქის დიდებულნიც ყველა დაუპატივა. კაპიტანია თხოვა, — პარახოთში ცოლი მყავს, მიუაღ დავხედამ და ისევ დავძრუნდებით.

ხენწიფებ უჟასუსა, — ორი ერთგული ყმა მყავს და იმათ დაუკარებ შენ ცოლ მოსაწყავათ და ნე გეშინაო. კაპიტანი დათახმდა. ხენწიფებ გავზავნა ორივე ყმა და დაავალა, რომ კაპიტანის ცოლისთვინ თვალი დღევნებინათ, არავის გველანძღა.

ავიდენ თუ არა მშები პარახოთზე, ერთიმეორეს გადახედეს და უთხრეს: „ვაი ჩვენთვინ, ამისთანა პარახოთი არ იყო ჩვენი დედა რომ მოგვტაცაო, დაიწყეს ორივე ტირილი. ქალმა, რომ დაინახა ორივე ტირიან, შეეკითხა რაზე ტირითო. ყმებმა უთხრეს, ჩვენი დედა ამისთანა პარახოთის კაპიტანმა მოგვტაცაო. ქალმა იცნო — მისი შვილები იყვნენ, მაგრამ არ გამეუცნაურავე.

კაპიტანი კი ქეიფობს ხენწიფის ოჯახში არხეინათ. როდესაც კარგათ იქიდებს და დაიშალებ, დიდი მაღლობა გადაუხსადა ხენწიფებს, ერთმანეთ ძმობა შეფიცეს და ხელი მისცეს — ყველაფერ საქმეში მშები ყოფილიყვნენ.

კაპიტანი პარახოთში თვრალი მოვიდა. ცოლი მოწყენილი დაუხვდა. შეეკითხა მაზეზ, — რაზე ხარო დარღიანიო? ქალმა უთხრა: — იმ ბიჭებმა, რომელნიც შენ მცველათ გამოგზავნე, შეერაცხოვა მომაყნაო.

გაძრაზდა კაპიტანი, იქავე წავიდა ხენწიფესთან და უთხრა, — ასე შეურაცხყოფა მოუყენებიათო ჩემი ცოლისთვინ შენ გმებსახ. ხენწიფემ დაუძასა ორივეს და კოთხა, — რისთვინ ჩაიღინეთ პატითანა გლასა საქმე. ორივე ძმები ფიც მოყენ, — არაფერი არ გვიწყენინებსა, ჩვენთვის, ჩუმათ ვარაულობდითო. ხენწიფემ ბძან მეტყვანათ კაპიტნის ცოლი და დევფიცებინათ, თუ მართლა ასე მოხდა.

კაპიტანმა გამოიყვანა თავისი ცოლი პარახოთიდან და შეიყვანა ხენწიფის სარაიაში. ხენწიფემ უთხრა: — სიმართლე თქვიო, თუ ამ ჩემს ყმებმა შენ რამე გაწყენის, ჩემი ძალანაფიცის ცოლსაო, ორივეს შენ წინ თავს მოვჭრიო. ქალი დავარდა ხენწიფის ფეხებთან და უთხრა: — ორი სიტყვის ნება მომეციო. ხენწიფემ უთხრა: — თქვიო რაც გინდაო.

ქალმა თქვა: — არა, ბატონო, როგორც არ დახვლამო, ისე ამ ბავშვებ ჩემთვინ არაფერი უკადრებიათ, მე შარი მოვდევი. ესენი, ორივე ჩემი შვილები არიან და ამ კაპიტანმა ამა და ამ დროს ასე გამიტაცა. არ ვნდური, დიდებულათ მინასამს, ჩემ შექს ლოცულობს, მაგრამა ჩემი შვილები რომ დავინახე, მეტი ველარ მოვითმინე, მინდოდა რამენარათ ისევე შეიოლებ დავბრუნებოდი, ამ ხენწიფის სამართლიანობა განთქმულია თელ ქვეყნაზე და ამან გადავვიწყიოთის ვის-თან უფრო წესიერია ჩემი ყოფნა და ცხოვრება მომტაცებელ უცხო კაპიტანთან თუ ჩემ წელიდან გამოსულ შვილებთან.

ხენწიფე მიხდა, ეს მისი ცოლი იყო, მაგრამ ჯერ თავი შეიტყა, კაპიტან გამოკითხა, — რანაირათ იყო საქმე. კაპიტანმა ჩამოუყავა ჩველაფერ, რამდაც იყო საქმე. ხენწიფემ უთხრა: — მე ვარ ის კაცი, ვინც ამ ორი ყმის მამა არი და ამ ქალის ქმარი. შენ თითონ იყავი მოსამართლეთ, ვის კუთვნის ეს ქალი შენ თუ — მე?

კაპიტანს რეტი დეესხა და ველარაფერი თქვა, ყველაფერი ისე უცადათ მოხდა, მოფიქრებაც ველარ მოასწრო და უპასუხა:

— შენ ოჯახში პურმარილი მივიღე, ძმიბა შემოქმიცე, ჩემ სიტყვას აღარ დავიბრუნებ უტან, შენ მოგახმაროს ღმერთმა შენი პატიოსანი ცოლ-შვილი. ამიერიდან ჩემთვის და იქნებაო.

ხენწიფემ ჩამოუყავა ცოლ-შვილსა და კაპიტანსაც, რაც გაჭირვება გაიარა და ბოლოს რითი გახდა ასე სახელოვანი და ბოლოს თქვაა: „რკოთხეული ბძნდება დამბრუნებელი დაკარჯულისა პატრონისთვინ“.

გამოემშვიდობა ხენწიფე კაპიტანსა და გააცილა. თითონ თავისი ცოლ-შვილით შეუდგა ჟეკოესსა და უბედიერეს ცხოვრებას.

დიდხანს იარსება ხენწიფემ თავისი სიან-სიმართლით ყველა

## 6. სიბრძნე აცოცხლებს მის პატრონს

შაულ ა მელექის\* ღროს ცხოვრობდა ერთი მოხუცი კაცი, მას ჰყავდა ცოლად ახალგაზრდა და მეტის მეტი ლამაზი ქალი. ძალიან ბევრს ეჭირა თვალი ამ ქალზე და ენატრებოდა მოხუც კაც, “რათ უნდაო ბებერსაო ასე ახალგაზრდა და ლამაზი ცოლიო”. მაგრამა ეს ქალი ისეთი კეთილშემიტოლი და წესიერი იყო, რომა ვერავინ ვერაფერის უბედამდა. ემსახურებოდა თავის ოჯახ პატიონსათ და დიდ პატივ ცემდა თავის ქმარ, რომელიც ღმერთმა დააზოულა.\*\*

ამ ქალზე ყველაზე მეტათ თვალი ქონდა დასიმილი იმ ქალაქის თავ, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. ქალაქის თავი სულ ხშირად გაიღლიდა ხოლმე იმათი სახლის წინ, რომ თვალი მაინც მეუკრა სადმე იმისთვინ. დაინახამდა — ბნელ მოსდიოდა მისი სურვილით, ვერ დაინახამდა — ბოლმა ახჩობდა. რამდენი კაცი მოუგზავნა, რა დიდებასა და დირსებას არ შეპირდა, მაგრამ ქალმა სახლოვესაც არ მიიკარა. მისგან იძულებული სახში აღამებდა და ათენებდა, ეშინოდა ძალით არ მომიტაცის და არ წამიყვანოს, ქმარ კი არაფერსაც არ უშესელდა, ეშინოდა არ იღარდოს.

იწა გამჩნიდან წყალობა, მოუკეცულ სიკედილის ღრო და მიიცვალა. დიდისაგან დიდი სიძიდიდრე დაუტევა თავის ცოლ, შეილი კი არ ყავდა. ცოლმა დამარხა ქმარი, იგლოვა ისრევლის წესის მიხედვით, შეუსრულა რაც კი იყო საჭირო მიცვალებულის დასაპატიონსნებათ. გლოვდა თავის ქმარ, ცის იერ არ ნახულობდა, იჯდა სახში დათალხული, ფლასებში გამოწეობილი და ტიროდა.

ქალაქის თავში იფიქრა, “ახლა კი მომხედა ღმერთმაო, გაათავებს აბელობას\*\*\* და აწი მაინც გამომწევება ცოლათაო.” დაუწყო კაცების მიგზავნა, მაგრამა არაფერი არ გაუვიდა, ქალი მაინც უარზე იყო.

\*პირველი მეუკ ისრაელისა

\*\*უიღბლა

\*\*\*ძელოვანობას

ბოლოს ქალაქის თავმა იფიქრა “წელიწად გაათავებს და მაინც მე ვინ წამართმევსო მის თავსაო,” მაგრამა ქალი სულ სხვანაირაო მოიქცა.

რომ ხედამდა ქალი, ქალაქის თავი არ ეშვებოდა და იმას ხეირის არ დააყრიდა, ადგა, ჩუმათ გაყიდა რაც კი მონძრავი ქონება გააჩინდა, ყველაფერი ოქროებზე გადაახურდავა, უნძრავისთვის კი ხელი არ უხლია, იყიდა სამი ახალი კოკა, სამივეში ჩაყარა ოქროები ნახევრათ, ზედან კი სამივეს თაფლი მოასხა და თაფლით გაამსო. ღამე ჩუმათ მოუტანა ქრთ ყველაზე უფრო ერთგულ კაც და მიაბარა სამი მოწმით, რომ, როდესაც დაბრუნდებოდა, ამ სამი მოწმის თანდასწრებით სამივე კოკა, თაფლით სამსე, უკანვე უნდა დებრუნდებინა.

ქვრივი ქალი იმ დამესვე გაიპარა, ისე რომა მისი ასავალ-დასავალი კაცმა ვერ გაიგო. ქალაქის თავმა რომ შეატყო ქალის დაკარქვა, იდარდა და ლოგინში ჩავარდა, მძიმე ავანტფოფი შეიქნა, ვერაფრით ვერ უშეველეს და ვერ წამოაყენეს ლოგინიდან, არც კვდებოდა და არც რჩებოდა.

ქვრივმა ქალმა ვისაც თაფლით კოკები მიაბარა, იმ კაცმა ქალიშვილი დანიშნა. ნიშნობა ისე უცბათ მოხდა დამით, რომ ვერავითარი მომზადებაც კი ვერ მოასწრეს ქალის დედ-მამამ, ნიშნობისთვინ კი უნდა ქონოდათ რამე მომზადებული. კაც მოაგონდა, რომა ქვრივი ქალის მობარებული თაფლი თავმოკრული შენახული უდგა, იფიქრა მეზონოთებ\* მაინც დავაცხობო. ცოლმა უარი უთხრა, — სხვისი ამანათი რა ოხრათ მინდაო.

რა ქნას კაცმა, ამ შეაღამეზე სად წავიდეს, სად იშონოს. რაც გინდა ფული გაიტანოს, არსად გასაყიდი არ არი და უთხრა ცოლ: — ქალო, ღმერთი, რჯული თაფლისთვინ ისევ თაფლ ვიყიდი, გათენდეს დილა სასიკეთო, ოღონდ ამაღამ წე ვჭამ სირცხვილ, მოყვრებში ვიპირნათლო; წამოდი გადმოვასხათ ი თაფლი, რამდენიც გვეჭოფავე, მოვიხმაროთ.

— კარგი, უსათუოთ გადაუხადოთ და მართლაც თაფლი, თაფლი არი. წამოდი, — უთხრა ცოლმა.

წავიდენ, მოხსნეს ერთ კოკას თავი, გადმოასხეს თაფლი. რას ნახამენ, თაფლში ოქროები მოყვება. რამდენიც გადმოწიეს კოკა,

\* ტებილ ნამცხვერებს

იმდენი მეტი და მეტი ოქროები გამოჩნდა. გაიხარეს ცოლ-ქმარმა თქროების ნახვით, სულ დაკინწყდათ ცოდოცა და მაღლიც, მტკრიცა და მოყვარეც. მოხსნეს მეორე კოკას თავი, ისეა, მესამესაც – ისეა. გადმოასხეს სულ ქრთანა თაფლი, ამოალაგეს რაც კა შეგ თქროები იყო, კოკები ისევ თაფლით გაამსეს და მოუკრეს თავი, ვითომდა აქ არაფერი მომხდარიდოს. ვინ რას შეატყობდა: ქვრივმა ქალმა სამი მოწმის დასწრებით სამი კოკა თაფლი მიაბარა, ისევე სამ კოკას დაუბრუნებს, ბევრიც რომ იყვიროს ოქროები დამუკარქაო და მომპარესო, ვინდა დაუჯერებს.

დანიშნეს ქალიშვილი. დაასახლეს. გამდიდრდენ. რაც მიღლომჩი არ უნახათ ის ნახეს, ის შეიძნეს, აღარ იციან სად წაიღონ ქონება. ფული ფულ იჯგას, რძეგანი დღეც მოდის, იმდენი მუტათ მდიდრდებიან და ზღვავდებიან.

ამასობაში, იქნა გამჩენის წყალობა, ქალაქის თავიც მიიცვალა. ქვრივმა ქალმა, როდესაც გაიგო ქალაქის თავის გარდაცვალება, ადგა და წამოვიდა თავის ქალაქში, დაუბრუნდა თავის ოჯახს. მიკიდა იმ კაცთან, ვისაც მიაბარა სამი კოკა ოქროთი და თაფლით საკეთ, მოესალმა და მოიხოვა, დაუბრუნებინა თავისი სამი კოკა მიაბრუნებული თაფლით.

კაცმა მოწმეები მოითხოვა დასწრებოდნენ. მოვიდნენ მოწმეები, მათი თანდასწრებით დაუბრუნა ქვრივ ქალს სამი კოკა თაფლით სამსე და გაისტურია.

ქვრივმა მიიტანა სახში კოკები, გადმოასხა თაფლი, მაგრამ შეგ ოქროები აღარ იყო თაფლში, შეწუხდა, დაიწყო ტრილი, მაგრამ რას გააწყობდა, იმ კაცმა თაფლი ჩაიბარა მოწმეების თანდასწრებით და ისევე თაფლი დაუბრუნა.

ქალმა უთხრა კოკებში ნახვარზე მეტი ოქროები იყოვო, მაგრამ მაინც უარი მიიღო. ქალმა იჩივლა სასამართლოში, დაიბარეს ის კაცი, ვისაც მიაბარა, დაუქახეს მოწმეებსაც. მოწმეებმა თქვევს, რომა ჩვენ თვალწინ სამი კოკა თავმოკრული თაფლი მიაბაროთ და ჩვენებ იქროების არაფერი ვიკითო. სასამართლომ ქვრივ ქალ უარი უთხრა, რადგანაც კურ დაუმტკიცა, რომ კოკებში თაფლის ქვევით ოქროები ქონდა შენახული.

ადგა ქვრივი ქალი და შეწუხებული, ტირილით გამოვიდა სასამართლოდან. გზაზე იმას კრთი პატარა ბიჭი შეხვდა, მწყეში. რომ დაინახა ქალი ტირის, შეეკითხა:

- რაზე ტირი, დეიდა, მითხარი?
- გამეცალე აქვდან, შე ლაწირაკო, რა შენი საქმეა რაცალაზე მე  
ვტირი, ჩემი გულის ვარამი მეყოფა, შენ რაღას შემომისწლი.
- დეიდა, გაფიცებ იმ შენი ქმრის სუულ, მითხარი რაზე ტირი,  
იქნება მოგეხმარო.
- ბიჭო, რაზე მაფიცებ ქმრის სუულ, შენ შენი ორი კაკალი  
ცხვრისთვინ ვერ მოგივლია, ღმურთ შენთვინ იმდენი ჭერა არ მო-  
უცია და მე რას მიშველი? დაიკარქე აქიდან!

ცხვრის მწყეში მაინც არ მეუშვა, კიდე მწარეთ დააფიცეა ქმრის  
სული და ქვრივიც იძულებული იყო ჩამოყოლოდა რაც მოხდა.

- წამოდი, დეიდა, შაულ მეუესთან მივიღეთ და თუ მეგეწონოს  
ჩემი აზრი დამიჯერე, თუ არა და რას ზარალობ, ნახე, წამომყევი.

ქვრივიც დაფიქრდა, “რას დავკარქამ ამის მეტსო,” ადგა და  
წაყვა.

მივიღენ შაულთან. მიიღო მეუებ და გამოკითხა მოსვლის მი-  
ზეზი. ქალი ჩამოუყვა თავიდან ბოლომდი თუ რაშიაც იყო საქმე.

მეუებ მოუსმინა და უპასუხა:

- შენი მდგომარეობა უნუგეშია, დაო, შენი პირით ლაპარაკიბ, რომ  
სამი მოწმის თანდასწრებით ჩაგიბარებია სამი კოკა თაფლით სამ-  
სე და შეი რა იყო ვინ იცის?

- ბატონო მეუე, შემეშინდა ოქროების გამხელა, არ დამკარქოდა.  
რას წარმოვიდგენდი, თუ იმისთანა ერთგული კაცი ასე მიღა-  
ლატებდა, განმეორებით გეფიცები ჩემი საყვარელი ქმრის სულს,  
რომ არ ვტეუი, — ტირილით ეუბნებოდა ქვრივი ქალი.

პატარა მწყეშს ესმის მათი ლაპარაკი, კულობა ქალი, რადგანაც  
სიმართლე აქვს იცის. მას უონა, შაულ მეუე, როგორც ჭკვიანი  
კაცი და გამოცდილი, თვითონ გამოტბნილა გამოსავალს სიმართლის  
გამოსარკვევად. რო შეხვდა, მეუე ვერ მიხვდა რაშია საქმე, მერე კი  
შეთხოვა მეუეს:

- ბატონო მეუე, თუ ნებას მომცემთ, მე პატარა მწყეში კი ვარ და  
მარტო ცხვრების მოწყესის მეტი არაფერი გამოცდილობა არ მააქ,  
მაგრამა მე მოგახსენებ ჩემ აზრ.

- თქვი, კი, შეიღო, რატომაც არა, ხანდახან პატარა ბობშის ჭერა  
უფრო ახლოც არი ხოლმე, — უპასუხა მეუებ, მაგრამ უონა, ბობში  
რამე უჭირობას იტყოდა.

ქვრივ ქალსაც თავისი საქმე საბოლოვოთ წაგებული და დაკარ-

გული ეკონა თავისი ოქროები, მურამა პატარა შწყესმა თავისი აზრი  
თქვაა:

— ბატონო მეუეო, ჯერ ერთი, რომა ფელამ კარგათ იყის, ეპიდია-  
ზისჩეზოთ არც გამდიღრდება და არც გაღარიბდება, მეორეც კა-  
დევ, მე ვეკითხები ამ ქვრივ დეიდას, რომელი კოკებითაც ამან  
დაუტოვა თაფლი ან ოქროები, ისევე ის კოკები დაუბრუნა თუ არა  
შემნახავმა?

— კი, ბატონი, იგივე კოკები დამიბრუნა, მურამა ოქროები აღარ იყო,  
მარტო თაფლით იყო სამსე.

— სანამდი ე ქვრივი იმ კაც კოკებით თაფლ დაუტოვებდა შესა-  
ნახავათ, მანამდე თუ ქონდა იმ კაც ამდენი სიძლიღრე და, თუ არ  
ქონდა, ასე მაღვე რამ გაამდიღრა ი კაცი? ქონვთ, დაიბაროთ,  
გამოითხოთ და ქვრივსაც ვთხოვოთ ი კოკები აი აგვი, მეფის დასანა-  
ხავათ მოატაინოს.

მეფემ გასცა ბრძანება. დაიბარეს იქავე კოკების შემნახავი და  
ქრისტის სახლიდანაც მოატანინეს თაფლითი კოკები. შწყესმ შეუგოთხა  
კოკების შემნახავ, — რამ გავამდიღრაო ასე უცუათაო?

იმ კაც ხმა ჩაუვარდა, ვერაფერი ვერ უპასუხა, დაიბნა, დავ-  
თარი ერთა.

შაულ მეფე მიჩერებია გაკეირვებული და უკვირს “ამ პატარა  
ბობშ ამდენი შორ გაჭვრეტა ვინ მიცაო;” ქვრივსაც იმედი მიუკა,  
უფრო გამხნევდა, “იქნება ღმერთმა მომხედოსო და ჩემი სიმართლეც  
გამოირკვესო.”

შწყესმა უთხრა მეფეს:

— ბატონო მეუეო, უბძანეთ თქვენ კაცები, ე კოკები სამივე აი აგვი,  
თქვენს თვალის წინ დაანტვრიონ და ვნახოთ შიგ ძირში თუ რამე არ  
იქნეს.

შაულ მეფემ ბრძანა დაემტერიათ კოკები იქევე. მეფის ბრძანება  
შესრულდა. გატეხეს კოკები, ნახეს ძირში და გვერდებზე მიწე-  
პებულია ოქროები ყველა ჭიაში, ისე არი მიკრული როგორც გა-  
ფისული.

ყველამ გაიგო და ადვილათ მისახვედრიც შეიქა, რომ კოკებში  
ოქროები მართლა ყოფილა და რომ მისი შემნახავი ასე უცუათ, უმი-  
ზეზოთ არ გამდიღრდებოდა.

მეფემ გადაუწყვიტა — ქვრივს დაბრუნებოდა თავისი ოქროები  
უკლებლივ. პატარა შწყესი კი ისე მოიწონა, რომა თავის გვერდში  
მოივინა და აღარც იშორებდა.

## 7. რაბი, რომელსაც სიკვდილი არ უნდოდა

იყო ერთი რაბი; თორა იცოდა; ისეთი ბრძენი იყო, რომ ღმერთის პქონდა საჭე ღმერთის უთხრა, — შენ მაბათს გიწერის გარდაცვალებაოდა, — დაუსახლდა თვე და რიცხვი. მაგრამ ეს შევდავა ამ ღმერთის რომა, — არა, ვერ გარდამაცვალებო!

— როგორო?

— იმიტომ, რომ მე თორა მიკავია ხელში და ვერ გარდამაცვალებო.

ესე იყი, იმოდენა მნიშვნელობა პქონდა თორას, რომ არ შეკლო ღმერთს იმის გარდაცვალება.

— აბაო, ვნახოთო, — უთხრა ღმერთისა.

და ამ კაცმა ჩაიცვა გარაული სამოსი, დაიჭირა თორა და დაიწყო კითხვა, იმედი ქონდა ამით ვერ გადააცვალებდა.

ღმერთისა მოალანდა, რომ იმის კარ-მიდამოს ცეცხლი ეკიდა. უცმად მოიხსნა სამოსი, დაავდო თორა და გაიქცა. დაადგა თუ ...

არა კიბის საფეხურს ფეხი — მოკვდა. ასე მოტევულა.

## 8. ცოდო-მაღლის ზღაპარი

მოკვდა ერთი ქალი. ამ ქალს ბევრი ქონება პქონდა. ხელში ისე ღუწეათ არის, პურის ნამცეცს არ გაიღებს. ადგა და — ამდენ ქონებაში მაღლი არ აქვს, — მოკვდა ეს ქალი. დახვდა ჯოჯონეთი, დახვდა სამოთხე. სამოთხეში არ შეუშევს, ჯოჯონეთში თვითონ არ შევიდა. ეს ქალი ჩხუბობს: იქ იმდენი ქონების პატრონი ვიყავი და

არ შემიშვეს სამოთხეშიო; სხვა კი სამოთხეშიაო. გაჯახირდა ეს ქალი. დახეტიალობს, არც ჯოჯოხეთშია, არც სამოთხეში.

მიცვალებულებს შეუცოდათ და გავზაქნეს ანგელოზი ღმერთიან. ღმერთმა უთხრა, „ერთი კვირით გაცოცხლების უფლება მიეცითო და, ვნახოთ, რას იზამსო.“

გამოატანეს ვირი ხურჯინებით, ოუნგებით, ქვაბებით, — წამოიღე იქიდან ყველაფერით.

მართლაც, ამ ქალმა გამოაცხო ყველაფერი, ბევრი გააკეთა, გამოავსო ჭურჭელი და ისე გაუდგა გზას. მიდის და წვიმა არის ძალიან. თვითონაც და ჯორიც დასველდნენ. ერთი პური ტალახში ჩაუკარდა, აიღო, ისევ დადო ჯორზე და მიაქვს.

შემოხვევა დარიანი, შემოქრი კაცი — სინამდვილეში ანგელოზი, ღმერთმა გამოუებავნა გამოსაცდელად. ამ კაცმა სიხოვა საჭმელი. ქალმა უთხრა, — მე მიმაქვს ის სამოთხეში და ვერ მოვაკლები; სახრეც კი დაუშინა. ანგელოზს უნდა, რომ ცოტა რამ მისცეს ამ ქალმა, რომ იქ, სამოთხეში დაახვედროს შემდეგ, მავრამ არაფერი არ მისცა ქალმა.

აიღო ამ კაცმა და უთხრა, — შე კაი ქალო, ძალიან შშია და ეს ტალახიანი პური მაინც მომეციონ. გაჭირვებით მისცა ეს ტალახიანი პური ქალმა. წადი ეხლა სამოთხეშიო, — ამ კაცმა უთხრა.

რომ შევიდა სამოთხეში გაქრა ყველაფერი ესენი; ტალახიანი პური კი სუფრაზე დაუდეს. დევს ეს ტალახიანი პური, არც წყალი, არც ღვინო. რაც წამოიღე ის დაგხვდაო — უთხრეს.

— არა, მე ბევრი წამოვიდეო — უთხრა ქალმა.

— შენ რომ ჩხუბი არ დაგეწყო, — ანგელოზებმა უთხრეს, — და რამე გაგმეტებინა, ცოტა მაინც, ყველაფერი დაგხვდებოდათ. შენ მარტო ეს ტალახიანი პური გაიმეტე და ეს დაგხვდაო.

შეუშვეს ეს ქალი ცოდვილიან ხალხთან.

### 9. ჩემი ამბავი

ჩვიდმეტი წლის ვიყავი, უცოლლი. თბილისში სტეკლობი ვიყიდე; გამოვგზავნე ქუთასში; გამოვწერე ქვითრები მურმის სახელზე, რო ეს ეიღობს ჩემ სტეკლობა.

არ მოვიდა ეს მეურმე ონში. გაიარა სამშა თვემ. მე ვთქვი,  
დაკარგა — თქვა. ჩავედი ზოგიშში,\* პორომით უნდა გადავიდე რიონ-  
ზე. დამხვდა „პორომი“ გაყიდული. არ მუშაობს.

სალხემი მითხვა: თოთხმეტი ვერსი უნდა შემოუაროო. დავინახე მავთული – ხომ არი გაბმული პორომის – ჩავეჭიდე მავთულს ხელით. მივდივარ. ჩავიხედე წყალში – მოაქ მოული ყინული. გამამელია ძაღლი. მამაძახა კაცმა: „ბიჭუნაო, იძღენი ქენიო, რო ტანი შეიტანე მავთულზეო და გიმევლიო.“ დაახვია რგოლი მავთულს, გამოაქანა ჩემკენ. შევიტანე ტანი ჯერ მავთულზე, მერე რგოლში. ადგილად გავედო.

მოული საათი ვეფუვი გაჩირქებული – ან მაღლობას ვტკი, ან რამე. რას ეძებ, ვინ არი? არავინ არ არი!

რამდენჯერ ჩავიკლი იქანა, მანსენდება ის ამბავი. ი მავთული იქანაა კიდე. რატო ვერ დავინახე, თუ კაცი იყო იქანა? სად წავდა?

ასეა, კაცო, ახლა „ლუვრიდააო,“ — იტყვიან. ასე იწერებოდა ეს ამბებიც, მე რო მოგიყვენ.

• სამართლებრივი დოკუმენტები

## 10. ქვის შეჭამანდი

იყო ერთი რაბი. ერთხელ—საღღაც წავიდა და გზაზე დააღამდა. მივიდა საცა შუქი გამოდიოდა. იქა დედაკაცი დახვდა და უთხრა: — უნდა გამათეინო ამაღამო ერთი ღამეო, შენი ჭირიძეო, რაბინი ვარ მეუ!

— ეი, ბატონო, მობრძანდიო.

ამ ქალმა ვეღარ მოასწრო გადაუმაღა ქოთანი, რომელშიც ჰები ჟარა და ცუცხლზე პქონდა შემოდგმული.

დააბინა ქალმა ბავშვები და რაბის უთხრა: — მოისვენე, ბატონო!

— რა მომასვენებსო, კაცოო, პური შმიაო, აღარ მომზადდა ვაშმამო?

— არა. ესე, ბატონო, ქვებიაო. მაღლიან მიჭირს, გაჭირვებული ვაარო და ბავშვების მოსატუებულებლად ქვები ჩაყვარეთ და ვაღუღოო, ბავშვებიც ელოდებიან როდის მოსარშება და ამ ლოდინში ეძინებათ.

რაბიმ შეურა თავისი გუდა-ნაძღი, საჭმელი, სასმელი ფეხლაფური ქონდა შეგ იმ ოჯახქორსა (იძახე შენა მორწმუნე), ადგა და წამოვიდა.

— შე უბედურო შენა,— თქვა გამჩენმა,— ეს რა ცოდო გააკეთეო, ვერაფერი ვეღარ გიშველისო, ეს შენი სიმღიდორეი უნდა გადავიდეს ამ ქალის ოჯახზე.

ერთხელ ამ ქალთან ღამის გასათევად ყაჩაღები მივიდენ. ატირებული ბავშვები რომ დაინახეს, იკითხეს:

— რა არიო, რაშია საქმეი, ბავშვები რათ ტირიანო?

— საჭმელი არა გვაქვსო, — უპასუხა ქალმა.

— აბა, წადით, სულ ცოდვიანები ხომ არ უნდა ვიყვეთ, მოიტანეთ ეს ჩეენი ნაძარცვი ქონება—ცხოვრება და ამ ბავშვებს მიეცითო!

თურმე ეს რაბი არ გაუქუღდავთ?! აღნენ და მოელი ეს სიმღიდორე ამ ქალს დაუტოვეს.

## 11. კარგ პრაქტიკული გირწმე შეეტყობა თავისი სიკეთე

ერთ ქალაქში მეზობლად ვაჭრობდნენ ფასაძი და ბაყალი, ხის დუქ-ნებში ჰქონდათ სავაჭრო.

ფასაძი ხორც ვაჭრობდა, ბაყალი კი საბაყლოს. ბაყალის ღუქნის ჟღველზე იყო პატარა ჭუჭრუტანაი, საიდანაც ბაყალი უჭერიტინებდა ხოლმე ფასაძ - მისი ფულის დათვლის დროს, ფასაძმა კი არ იცოდა, თუ ბაყალი უჭერიტინებდა ხოლმე.

ერთ დღეობის დღეს, როდესაც ფასაძმა გაათავა ვაჭრობა, შეუდგა ფულის თვლაას; ჩათვალა ფული ას ოცი ოქრო, შეახვია წითელ პლატუქში, ჩაკეტა უჯრაში და შეინახა.

ბაყალი ჰყდლის ჭუჭრუტანიდან უუქრებდა და ითვლიდა. სუჟველაფერ შეხედა, იცოდა რომ ასოცი იქრო ჩათვალა წითელ პლატუქში, შეახვია და უჯრაში ჩაკეტა. უუქრა უუქრა და, როდისაც შეხედა, რომ შეინახა, ჰყდლზე ისე მოხერხებულათ მიაკრა ქალალდი ჭუჭრუტანას, ვითომ არაფერი.

ბაყალი გამოვიდა გარეთ, ოქროების დარდი ჩაუვარდა გულში, ფიქრობს რა ქნას, რანაირათ მოიქცეს რომ ი ფასაძის შენახული ოქროები ხელში ჩაიგდოს. იფიქრა ბაყალმა, იფიქრა და ბოლოს ასე მოიქცა, გამოვიდა გარეთ, გაიარ-გამოიარა, ნახა ფასაძი არხეინად ჩამომჯდარა თავისი ღუქნის წინ და ისვენებს. ბაყალი გამოვლაპარაკა ფასაძის და სიხეოვა, ცოტა ხნით მისი ღუქნისთვის მოხედა, რაღვევაც საჭირო ადვილზე მოდიოდა. ფასაძც, როგორც ყველთვინ დაეთანხმა. ბაყალმა გაიარ-გამოიარა, მალე დაბრუნდა, ფასაძს შეეკითხა: – ხომ არავინ ყოფილა მუშტარი?

– არა, ძმაო არავინ მოსულა, მე აქანა ვიყავი სულ.

ბაყალმა მადლობა გადაუხადა, შევიდა თავის ღუქნში, მიიხედ-მოიხედა, უჯრები გამოაღო და შექნა კივილი: – მიშველეთ, გამ-ცარცვეს, უჯრაში ფული მქონდა, ნავაჭრი ოქროები შენახული და მოუპარავე...

შემეტესია ხალხი, შეიქნა ამბავი, ხმაურობა, მოვიდა თავრობის ხალხიც; გველას უკვირს რომა ასე დღიურ ვინ შევიდა ბაყალის ღუქნში და ვინ მოიპარა ფულიო. თავრობამ შეეკითხა, – სად

იყავი, ვინ დატევე, ან ვიზე გააქ ეჭვიო. ბაყალმა უპასუხა:

— მე გავედი საჭიროების აღვილზე, ყასაბი აქ იჯდა, მეც ვთხოვე ფური ეთხოვებინა ჩემი დუქნისთვინ, შეეხედნა, შემძირდა კარქიო, დავბრუნდი და უჯრა გავაღე, ვნახე შიგა ფული აღარ ჩაანს. ასოცი ოქრო გახვეული არის წითელ პლატუქმი, აპა ვინ წაიღებდა ყასაბის მეტი.

თავრობამ გაჩირიკა ყასაბის დუქნი და მის უჯრაში ნახეს წითელ პლატუქმი გახვეული ასოცი ოქრო. დააბრალეს ყასაბი მისი მოპარვა ყასაბი იფიცამს, იმტკცებს ჩემი ნავაჭრი ფული ასოცი ოქრო, ესეც არი ახლა გავახვივე და უჯრაში შევინახე, რომა როდესაც დუქნან დავეკეტავდი, ჩემებარებინა პატრონებისთვინაო.

არავინ დაუჯერა ყასაბ თავისი სიმართლე. საქმე გეღვეცა სასამართლოს გასარჩევათ. დაინიშნა საქმის გარჩევის დღე, მოვიდა სასამართლოში ყასაბიც, ბაყალიც, ქვეწის ხალხიც, ყასაბი ცნობილი იყო, როგორც პატიოსანი კაცი, მიღდები არ იყო ქურდობაში შემწნეული, პირიქით, მაგრამა ბაყალი ხელ ადებდა, ამან მოიპარა ჩემი ოქროებიო.

მოსამართლე შეეგითხა ერთსაც და მეორესაც. ბაყალი ყვირის, შარიანობს — ჩემია ფულიო, — მოწმე კი არავინ არ ყავს.

ყასაბიც იფიცამს, — ჩემი არიო, — მაგრამა არც იმას ყავს მოწამე, თუ იმისია.

ასე რომა მოსამართლემ ვერ გაარჩია საქმე და გადადვა სხვა დროსთვის.

მეორეთ მოწვევეს, ჯალე ვერ გაარჩეა. მესამეთ, მეოთხეთ, მეხუთეთ... მეათეთ, ვერც ერთხელ ვერ გამოირჩეა ვისი არი ოქროები. ხალხიც როგორც კი გაიგებს რომა ბაყლისა და ყასაბის საქმე ირჩევაო, სასამართლო ხალხით იმსება, ყველას აინტერესებს სიმართლის გაეგბა. არ იქნა და ვერაუერი გზით ვერ გამოირჩებია მოსამართლემ ვისი არი ე ოქროები, საქმე უფრო შორსა და შოორ მიდის, იდება და იდება. მოსამართლე დააფიქრა ამ საქმემ, ბოლო მაინც ვერ მოუღო და არ იქნა.

ერთ დღეს, მოსამართლემ ბაღთან გაიგულავა. იმ დროს მიღრაშიდან\* თაღმიღები\*\* გამოვიდენ ბიჭები ერთი მეორეს ელაპარაკებოდენ და იცინოდენ. ერთმა თაღმიღმა შეაჩერა

\*სასწავლებლიდან

\*\*მოწაფეები

სხვები და უთხრა: — იცით, ბიჭები, მოღით აეკრ აი ამ ზის ძირას  
დავვდეთ და მე ერთ ახალ ამბავ გეტვივე თქვენე. კრისტენი  
ბიჭებმაც დაუვერეს, ჩამოვდენ ზის ძირას, მოატაინავე ურთი და  
დი ქვაა, თითონ ამ ბიჭება რომელმაც დაიწყო ლაპარაკი ქვაზე  
დაჯდა, აირჩია ბიჭები და უთხრა: — ერთი თქვენში იყოს ყასაბი,  
მეტორე ბაყალი, მე ვიქნები მოსამართლე, ამა ახლა მიუურეთ, ი  
უფლური ვინძალა მოსამართლე არი, ამდენი სანია, რო ვერ გაარჩია  
და ვერ გაიგო იმ ოქროების პატრონი, მე რო ვიყო მის ალაგას,  
ახლავე გავიგე.

მოსამართლეს ესმის ე ამბავი, სმენათ გადაიქცა, შეორიახლო  
გაჩერდა და მიაჩერდავე ამ თაღმიღებ, „აპა რას იზამენ“ — უკლეს  
ფუურ.

თაღმიღება უთხრავე: — ბიჭებო, ამოიღეთ პლატუქი და ჩათვალეთ  
შიგა ას ოცი კუნჭი, ვითომ ოქროები არი, მოიტანეთ ერთი ქვაბი  
დუღარე წყალი, ჩაყარეთ შიგა ე ოქროები და ნახეთ, თუ წყალმა  
ზედან ზიპი მოიდვა, ნაძვილათ ყასაბის იქნება ი ოქროები, იმიტომ  
რომა, ყასაბი ქონიან ხელ მოკადებდა ოქროებ და თუ ოქროებმა  
დუღარეში ზიპი არ მოიდვა, მაშინ ის იქნება ბაყალის, ამას რა  
დიდი საქმე უნდა, მე რო დამაჯერდეს მოსამართლეთ, ასე ვიზამდი...

თაღმიღებმა იცინეს, იხუმრეს და წავიდ-წამოვიდნენ. მოსამართლე  
კი, რომელსაც გული ისე უძეგრამდა, როგორც დაკლულ ქათამ,  
ველარ მოითმინა, დაუძახა იმ თაღმიღე, გამოკითხა ვინაობა, მუწონა  
და გადაკოცნა.

მოსამართლემ იმ დღეებშივე დანიშნა ისევე საქმის გარჩევა. გავარდა  
ხმაა, ბაყალისა და ყასაბის საქმე ირჩევაო, მირბის და მირბის  
ხალხი, იმდენი მოგროვდა, რომა აღარ ეტევა. მოსამართლემ ერთი  
კიდე დაკითხა ყასაბისა და ბაყალსაც და გასცა ბრძანება, მე-ეტანათ  
ერთი ქვაბი დუღარე წყალი და ი ოქროებიც, რომელიც დაბეჭდილი  
იყო.

მოიტანეს ერთი ქვაბი დუღარე წყალიცა და ოქროებიც; მო-  
სამართლემ ჩაყარა დუღარეში ოქროები და დაინახა რომა ზედან  
დუღარემ მოიდვა ზიპი. დაუძახა თითო-თითოდ ხალხ და უჩვენა,  
ხალხმა თავისი თვალით ნახა, რომა ქვაბის ზედ ნაპირი ქონის  
ზიპით გაიშსო.

მოსამართლემ დაადასტურა, რომა ოქროები ყასაბის იყო და არა  
ბაყალის, ხალხმაც იგივე დაადასტურა. ყასაბ თავისი ოქროები

დაუბრუნეს, ბაყალი გაწმილებული და შერცხვენილი, პირგაშავებული უკუღმა გაბრუნდა.

ეს ქნაა იმ პატარა თალმიზის ჭეუამ, რომლიდანაც მისამართლებული გაიგონა, რანაირად უნდა მოქცეულიყო და გავთო მტყუანი და მართალი. ამიტომ არი ნათქვამი რომა: კარგ კვაას კირწვე შე-ეტყობა თავისი სიკეთეო.

## 12. სამი ყრუ

ერთი მწყემსი თავის ჯოგ მწყემსამდა და ყოველ ცისმარე დღე სადილობის დროს, იმასთან თავის ცოლ დაქონდა ხოლმე სადილი, რაღაც სამწყესური შორის იყო.

ერთ დღეს მწყემს ცოლმა სადილის მიტანა დაუგვიანა. მწყემს შეეშინდა: “რატომ არ მომიტანაო ცოლმა სადილით,” ერთი იმაზე შეწუხდა “სახლში ხომ შევიდობთ არიანო,” მერძეც კიდე სიმშილმაც შეაწესა. ნაშეადღევი რომ კაი გადასული იყო, მწყემსმა კვლარ მოითმინა შიმშილი და მწუხარება, დაღამებას კი კარგა ხანი აკ-ლდა. გაიხედა მწყემსმა ყანაში და დაინახა გლეხი თოვას ჭრიდა, მივიდა და უთხრა: — თუ არ გეწყინება, ცოტა ხანით სახლში მივირბენ, ცოლმა სადილი არ მომიტანა, ნამდვილათ რამე უჭირს და ჩემ ჯოგზე თვალყუჯი დაიჭირე, რომ დავბრუნდები პატივს ქცეს.

გლეხი ყრუ იყო, იმას უონა ბალასს მოხვევსო და ხელი აუქნია: — მომცილდი, კაცო, ეს ბალაზი ჩემ საქონელსაც არ კვითა!

თურმე ეს მწყემსიც ყრუ ყოფილა; როდესაც გლეხმა ხელი აუქნია, წადი მომცილდიო, იმან გაიფიქრა, ალბათ ასე მითხრა: “წადი, კაცო, ნუ გემინია, მე ვათხოვებ ფურ შენ საქონელსაო.” ამით დაქმაყოფილდა ეს მწყემსი და წავიდა თავის სახლში. მივიღა სახში, გაივი ცოლის მიუსვლელობის მიზეზი, ისადილა და რამოდენიმე ხანის შემდეგ დაბრუნდა.

როდესაც მოვიდა, დაითვალა ჯოგი. რომ ნახა სრულათ იყო, გეხეარდა და თქვა: “დიდი მაღლობის ღირსი არის ის გლეხი, რომ თვალ-ფური კარგათ უდევნებია ჩემი ჯოგისთვინაო.” ადგა, აიყვანა ერთი პატარა, კრავი, რომელიც კარგი მსუქანი იყო, ოღონდ ფეხ-

მოტეხილი კი იყო და „უთავაზა ამ გლეხს.“

გლეხმა იფიქრა „ეს კაცი შარს მდებსო,“ უფიცება და მტერთმა, მე არ მომიტეხია ამ კრავისთვინ ფეხი და სრულებათაც არ მივკარებივარო.

მწყემსმა იფიქრა, „რაღანაც ფეხმოტეხილია, იმიტომ არ მიყვსო“ და უთხრა: — მართალია, ფეხმოტეხილი არის, მაგრამ, სამაგიეროთ, სუქანი არის.

გლეხი უფიცებოდა: — ღმერთი, რჯული, მე არ მივკარებივარ შენ ჯოვ და არც ფეხი არ მომიტეხია, რას ჩამაცივდი, კაცო!

ამასობაში გაძრაზდა გლეხი და მწყემსს შემოარტყა. მწყემსმაც მუშტებით გასცა პასუხი. შეერთავე ხელი და ურტყამდენ ერთი მეორეს, გამზოვებელი კი არავინ ყავდათ. კარგად რომ მიბევეს კრთმანეთი და ისევ ეპოტინებიან კიდევ, ამ დროს ერთი კაცი ცხენს მჯდომარე დაინახეს. ორივემ ხელი მოკიდეს ცხენის აღვირსა და თხოვეს — გაარჩიე ჩვენი საქმეო.

გლეხმა უთხრა: — მწყემსი მე მაძრალის კრავის ფეხის მოტეხას, ღმერთმა იცოდეს, მე არც კი მივკარებივარ, ფეხიც არ მიმიდგა მაგის ჯოვთან. რა უნდა ჩემთან, დამანებოს თავი, ნუ მირტყამს.

მწყემსი უუბნება: — მე საჩიუქრათ მიუვტანე ეს კრავი, მართალია ფეხმოტეხილია, მაგრამ კაი მსუქანია. მაგან მადლობის მაგიერათ რტყმევა დამიწყო. იწამე ღმერთი და გაარჩიე ჩვენი საქმე!

თურმე ცხენიანი კაციც ყრუ ყოფილა, გზაზე უპოვნია ცხენი, შემჭდარა ზედე და წამოუყვანია. ამ მგზავრ გონებია, ეს ცხენი ამათი ყოფილა და ჭურდობას მაძრალიანო, უფიცება ორივეს: — არ მომიპარია, გზაზე ვნაზე უპატრონოთ იყო, შევჯეხი და წამოვიყვანე. რას მერჩით, გამოშეით ჩემ გზაზე, რაღანაც თქვენია, ღმერთმა მოგახმაროს, თქვენ გქონდესო.

მწყემსი და გლეხი ცხენის აღვირს ხელს არ უშვებენ, გაარჩიე ჩვენი საქმეო. რომ დაინახა ცხენიანმა არ ეშვებიან, ჩამოხტა ცხენიდან და გაიქცა, ცხენი აქავე დატოვა. მწყემსმა და გლეხმა იფიქრეს, „ნაძღვილათ თავრობაში გაიქცა, ვინმეს მოიყვანს და ჩვენ თავ დააჭერინებსო;“ ადგნ ირივემ, მწყემსმა მისი ჯოვი წაიყვანა სხვა მინდორში, მოშორებით, გლეხიც თავის სახში გაიპარა შეშინებული — დამიჭერენო და ამით დამთავრდა სამი ყრუს საქმე.

## 13. ღარიბი კაცი

იყო ერთი კაცი, ღარიბი. ცოლმა უთხრა: – სულ სახლში რომ ხარ, გაიარ-გამოიარეთ. გამოუცხო საგზალი, წაატანა. რომ მიღდის გზაზე, შემეტები ცხენით ავი კაცი. გადახედა ცხენიდან, რომ ამის გუდაში საჭმელები ეწყო. მივიღდნ ერთ ადგილას და ამ კაცმა უთხრა ამ ღარიბ კაცს: – დავისვენოთ აქანა და ვჭამოთ, მერე ხო ჟურუე, ჩემი ხურჯინები აქანაა და მერე ჩემი ვჭამოთ.

გაძლა, შეუძახა ცხენ და წავიდა. ეს ღარიბი კაცი ღარიბ უსაზრდოოდ.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, შევიდა წისქვილში, დაღამდა. ჩაწერა ხვიმირაში და უნდა გაათიოს და რო შეიქნა შეაღამე, შემოვიდა წისქვილში დათვი, მელია და მგელი. იქნა დვთის ბრძანება, დაანოეს ცეცხლი, შემოუკედენ და თქვა დათვმა: – მოდით, ვიღაპარაკო დღეს თავგადასავალი ჩენ თავზე.

მჯელმა თქვა: – დღეს მისთანა საჭმელები გამოუწე, ვინალოე, რომ მე მგონი, ერთ თვესაც არ დამჭირდეს ჭამაო.

დათვა თქვა: – იმისთანა ნებიური დავამტკრიე დღეს, რომ სულ ქონით იყო სავსეო.

მელამ თქვა: – დღეს იმდენი ქათმები ჩავიგდე ხელში და ვჭამე, მე მგონი, დიდი ხანი გამატანოსო.

მელამ და დათვმა დაიწყეს: – ნეტა იმ კაცს, რომელ კაცს ეს ეფურებოდესო. ერთ-ერთ სახენწიფოში ხენწიფე არის ბრძა, ვინც იმას წამალს მოუტანს და მოარჩენს, რამოდენა სიმდიდრეს მისცემს ეს ამბავი.

მჯელმა თქვა: – ნეტაი იმ კაცს, ვისაც ეს ეფურებოდესო. ერთ ქვეყანაში წყალი არ არის და ძალიან წუხდებიან მცხოვრებლები უწყლობით. იმ ქვეყანაში არი ერთი დიდი აღვის ხე. ვინც იმას მოჭრის, გაღმოვა იმდენი წყალი, მოელ ქალაქს გააჯერებსო.

მელამ თქვა: – ნეტაი იმ კაცს, ვისაც ეს ეფურებოდესო. ამ წისქვილში თავგვი არის, ბევრი ოქროები აქვს შენახული ამ თავგვა გამოზიდავს ეს თავგვი ამ ოქროებ და თამაშობს ზედაო, რო ვინმე

გაჩდებოდეს, ხელს უკრვედეს, თაგვი გაიქცევა და ოქროები დარჩება.

ხოლოთ ეს სამი ნადირი ინადირებენ თუ არა, მაინც გადაწყვეტილი პქონდათ უფლიდან - ყოველ დამე უჩნდებოდათ სამი ხაჭაპური, ხვთის ბრძანებით უნდა შეეჭამათ აუცილებლათ.

რო შეიქნა გათენება, ამოიწურა დამე, უთხრა დათვმა და მგელმა მელიას: - მიდი და ხვიმირში რო ახლა ჩვენი ხაჭაპურები გვიჩნდება, მოიტანე და შევჭამოთო.

ამ კაცმა ყველაფერი ესენი ისმინა. ამოიღო ეს ხაჭაპურები ხვიმირიდან და გულზე დაიდვა. მივიდა მელია, შენიშნა კაცი რო არი ხვიმირაში და ხაჭაპურები მთელი დახვდა, შეებრალა ეს კაცი, მოიტანა ეს ხაჭაპურები და კაცი არ გაამხილა. შეჭამეს ხაჭაპურები, დაკრუს ფეხი და წავიდნენ სამივე.

დარიბმა გაათია ხვიმირაში. დიღლაზე - მოდი, გავსინჯავ თუ მელიას სიტყვა მართალია. გამოვიდა მზე. თაგვმა მოიტანა ოქროები, დააღავა, დახტის და დაუარა. მოვიდა ეს კაცი და თაგვი გაქრა. აკრიფა ოქროები და წამოვიდა სახში. რომ მოვიდა სახში, ცოლმა უთხრა: - აი, რო არ ადგამდი სახლიდან ფეხს, როგორ აშენდიო.

- შენ ამ ოქროებ მოუარე, სხვა საქმე არა გაქო, ჯერ რა არიო.

რამოღნიმე ხანში უთხრა ცოლს, - გამიშალე საგზალი, უნდა წაიდეო. წავიდა. იმ ქვეყანაში, საღაც ხემწიფე ბრძა იყო, გამოაქვება თავის თავი, როგორც თვალის ქიმი. შეუკითხნებ რა მოხელე ხარ? - თვალის ქიმი ვარო. მაშინვე გაარბენინეს ხემწიფეებთან. ამოუსვა წყალი თვალებში და ხემწიფეებს თვალები ეეხილა. მაშინვე ხემწიფეებ გასცა ბრძანება - დაასაჩუქრეთ ჩემი ხაზინებიდან და გაუშვით დიდი აღტაცებითაც.

მოიტანა ყველა ეს საჩუქრი სახში, ჩააბარა თავის მეუღლეს. მეუღლემ სიხარულით შეინახა ყველაფერი ეს, რაც მოიტანა.

კიდო ამის შემდეგ უთხრა: - გამიშალე საგზალი, უნდა წავიდეო სხვა ქვეყანაშიო. წავიდა იმ ქვეყანაში საღაც წყალი არ იშოვებოდა და რომ მივიდა გამოაცხადა თავის თავი ინჯილრად, ტენიკოსად. გასცა განკარგულება, ეს ხე მოჭრით! მოჭრეს ალვის ხე და წყალი წამოვიდა, რომელიც აკმაყოფილებდა მთელ სოფელს. დაასაჩუქრა მთელმა სოფელმა, გამოუშვეს ეს დარიბი კაცი დიდი გახარებული თავის სახში. ეს საჩუქრები ჩააბარა თავის მეუღლეს.

რამოღნიმე ხანში გაიგო ამ ავმა კაცმა ამ კაცის გამდიღრება. მივიდა თავი ცხენით ამ კაცთან - დარიბ კაცთან: - მე და შენო ამხანაგობა გამოვუკადეთ ერთმანეთსო, ახლა რაც გიშოვია და

რაც მე ვიშოვე, უნდა გავყოთო. ღარიბმა კაცმა უპასუხა: — მე ვერაფერ გავიყოთ, მხოლოდ პატივ გცემ და როგორც ვიშოვე წადი და შენც ისე მოიქეცი და გამდიდრდებით. ხო გახსოვს, ჩეენ რო გზაზე მივდიოდით, იმ გზაზე წისქვილი რო დგას, იქანა მიდი, ჩაჯვეტი ხვიმირაში, გაათიო დამე, იქანა დაგხვდება სამი ხაჭაპური. იცოდე სამივე უნდა შეჭამო, რომ შეჭამ, შემოვა სამი ანგელოზი და ისინი გეტევიან კველაფერის.

შევდა ცხენზე, წავიდა, მიადგა წისქვილს. ცხენი დააბა წისქვილის ახლოს. შევდა წისქვილში, ჩაჯვა ხვიმირაში. მართლაც, დახვდა სამი ხაჭაპური; შეჭამა სამივე - როგორც იმ კაცმა უთხრა - და დაიჯერა, რო ნამდვილად კველაფერი სწორი იქნებათ.

შეიქნა შუაღამე, შემოვიდა წისქვილში დათვი, მელა და მგელი. იქნა ღვთის ძრასნება და ღამითეს ცუცხლი. შემოუსხდნენ და ქრომინების უთხრების: — აბა, ვიღაპარა კოთ ჩვენი დღეების თავზე გადასავალით. დათვმა თქვა: — იმდენი ტყვია მივიღე, სულ დაღილავებული მაქ ასოებით; მშერი ვარ, ვიღაცა ოჯახაშენებულს ცხენი დაუბის იქანა, ეზოშიო, ის კი დავტორე, თუ არა სხვა არაფერი მიჰქამიაო. მელამ თქვა: — გამომიღებნენ ძალლები დღეს, სულ დაქმნილი ვარ ძალებიდგან, ვერ ვეკარვი საქათმესო.

უთხრების მგელს: — მიდი, აბა, ეს სამი ხაჭაპური მინც მოიტანე, ეს მაინც შევჭამოთ.

მივიდა მგელი და ხაჭაპურები არსად არის და კაცი წევს ხვიმირაში. ჩაკრა ტორი, ამოაგდო ეს კაცი ხვიმირიდან, მიაგდო ცეცხლაპირა, მიესია დათვი, მელია და მგელი და შეჭამეს შენი ავაზაკი კაცი.

ჭირი იქ დავტოვე, ღხინი აქ მოვიტანე.

## 14. ნუ ენდობი შეღებილ ადამიანს

ერთხელ ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა ერთი დიდისაგან დიდი მდიდარი და მოხუცებული კაცი. დიდი შეძლებული იყო ეს კაცი, დიდი პატივისცემა ქონდა ხალხიდან და ჯამაათიდან.

მოუკიდა გამჩნის სიკეთის დრო და იგძნო ამ კაცება, რომ მისი მიცუალების დრო მოახლოვდა, დაუძახა თავის შვილ და დაუქარა ანდერძი:

— იცოდე, ჩემო შვილო, ვიტოვებ იმდენ ქონებასა და იმდენ სიძლიდრეს, იმდენ ყოფაცხოვრებას, რომა შენ და შენ შვილ-მომავალ უენისამდისინ გვყოფავე, რომ იარსებოთ. ამითი თქვენი ჯავრი არ წამყება სავლავები, მხოლოდ, შვილო, შეინახე ჩემი ანდერძი, რასაც გავალებ, გახსოვდეს, მოუფეთხილდა და მოერიდე შეღებილ ადამიან, რომენიც ძალიან ბევრ გაიძახის და თავი დიდათ მოაქ, ვითომდა დიდი ღვთის მორწმუნე არი. იმას ერიდე, შვილო, იმისი გეშინოდეს იცოდე, არ ენდო იმას, ისი ხალხ ახედებს, ჩემი პატიოსანი და მორწმუნე ქვეყანაზე მურე არ არი, მაგრამა ისი ნაძვილათ გველაფერ ბოროტობას ჩაიდენს. არც ენდო, შვილო, ლამაზ ქალ, რომენიც სულ მუდამ პატიოსნებაზე გაიძახის. იცოდე ისეთი ქალი ყველაზე უფრო უღალატებს ქმარ და სხვის უპატიოსნობას კი დაძრახაშის. ამ ანდერძ გიტოვებ, შვილო, მოკლეთ, ერიდე შეღებილ ადამიან, მეტი არაფერი. იცხოვრე კეთილათ და ბეზიერათ, გლახის შვილ ერიდე, არ დავინდობს.

მოხუცი გარდაიცვალა. შვილმა ფველა ისრეულის წესი შეუსრულა და წლის თავზე ითხოვა ერთი ძალიან დარიბის შვილი და ძალიან ლამაზი ქალი, უმშიოთვოთ. ჩააცვა და დაახურა ამ დარიბის შვილ, რაც მიდღები არ მოლანდებდა, ის მოანახა და მოაჩენა. ამ ქალმაც შეიფერა დროება და დამშვენდა და გალამაზდა, მზისა და მოვარის მზგავი შეიქანა.

მამის ანდერძი მუდამ ახსოვს ამ კაც, ფრთხილათ არი, ერიდება შეღებილ ხალხ, უფრთხილდება, არაურ ცუდ გვეუყილოს. ცოლსაც თვალყურ ადევნებს, მამამისმა ხომ დაუქარა, გლახის შვილ არ ენდოვო, ეშინია ცოლმა არ უღალატოს.

ერთ დღეს ამ კაცმა უთხრა ცოლი: — წამოდი, ქალო, ბაღში გავისეირნოთ, ასე სულ სახში რავა ვიყვდეთ და ვიყოთ. ახალგაზდები ვართ, ჩვენში არი ახლა სიხარული და ცხოვრების სიხალისე, თვარება რომ დავბერდებით რაღათ გვინდა.

ცოლმა უპასუხა: — მაგას ვერ ვიზამ, რომ ბაღში გამოჭვევე და გავისეირნო. ხომ უყურებ რანაირი ლამაზი ვარ ან წელ-ტანი რას მიგავს, ან თვალ-წარბი, ვინც დამინახამს დამნატრდება და დიდი ცოლო დემუდება კისერზეო, არც შენ დაგავალიანებ და არც ჩემ თავ დაგავალიანებ.

ქმარმა შეინახა ცოლის სიტყვები გულში, მოაგონდა კიდე მამის ანდერმი და გაიფიქრა „ერთი ე ჩემი ცოლიც უნდა გამოუცადო, მართლა ამისთანა პატიოსანია როგორც ლაპარაკობს თუ ესჯე შეღებილი არია.“

რამოდენიმე ხნის შემდეგ ქმარმა უთხრა ცოლსა, რომა — აა, ქალო, ამ ორ დღეში გზავნათ უნდა წაევიდე, შორ მანძლზე მივღივარ და საგძალი გამიმზადეთ.

ცოლი დატრიალდა, გაუმიზადა ქმარ ძვირფასი საგძალი, მოუწყო და მოულავა ტანი და ფეხი, საუკუთესო სასმელ-საჭმელი, დამრუნა ქმარი წაღმა და ტირილით გაისტუმრა, — არაფერი იწყინოვო, კი- დე შეიღობით გნახაო.

ქმარი სანამდი გზავნათ წავიდოდა, ჩუმათ ოსტატ გააკეთებინა თავისი სახლის ყველა კარის გასაღები კლიტები ერთი შეკვრა და ჩაიდვა ჯიბეში, მეორე შეკვრა კი სულ მუდამ მის ცოლ ქონდა ხოლმე ჯიბეში.

წავიდა ქმარი, გავიდა ქალაქებარეთ და დაბინავდა ერთ-ერთ დამისევასათვე აღვილზე შეაღამე რომ გადავიდა, გაუსწორა ანგარიში მასპინძელსა და გამოვიდა. წამოვიდა ქმარი პირდაპირ თავის სახლისკენ. პირველათ ჩუმათ ჭიშკარი გააღო, მერე ეხოში შევიდა, ფეხსაკრეფით ყველა ოთახის კარები დააღო და მოიარა. ბოლოს მიაღვა თავისი ცოლის ოთახის კარებ, ამოიღო ჯიბიდან გასაღები კლიტე და გააღო კარი. დაინახა მისი ცოლის გვერდში ვინძაღა უცხო ახალგაზდა წევეს. ცოლმა რომ შეხედა ქმარს, პირკატა ვცა. ახალგაზდას უთხრა: — ააა, ჩქარა წამოდექი ზეზე და ჩემი ქმარი დანით მოკალი, თვარება ორივეს დაგვაზარალებსო. ახალგაზდა, როგორც კი წამოხტა ლოგინილან თვარება, ქმარმა, „ეს არი მომკლავსო,“ გააღო საჩქაროთ კარები და მოასწორო, გამოიქცა.

გაიქცა დაფუტუბული ქმარი, ირბინა „არ დემეწიოსო და არ მომ-  
კლასო,“ ადგა და ერთ სიხლის წინ ფარდულ ქვეშ დაწვა, დაძმალა,  
დაღალულსა და დაქანცულს დამით ჩაძინებოდა.

იმ დამეს სახეწიფე ხაზინა გაუტეხიავე და ყარაულები  
გამცხარებული ექვებო ჭურდ. გაიხდეს, აგრ სახლის ფარდულის  
ქვეშ ჰაც ძინაშ, ვეონათ, — ესეც ჭურდების ამხანაგი იქნებაო,  
— სტაცეს ხელი და დაიჭირეს.

მიღები და ურტყეს საწყალ უდანაშაულო ჰაც, — ჩქარა თქვიო სად  
წაიღეთ ნაჯურდალიო, ან შენი ამხანაგები სად არიანო. მანამდისინი  
ურტყეს საწყალობულ, სანამდისინი არ ათქმუინეს — ნუ მირტყამთ,  
ნუ მკლაამთ, მე მოვიპარეო.

ხელში ნაჯურდალი ვერაფერი უნახეს, ამხანაგები არც არავინ  
გამდა და ვერც ვერავინ დასახელა. იფიქრეს, „ესეო არ ტყდებაო“ და  
გადაუწყვიტეს ჩაძოხილა.

იმ დროში ჩვეულებათ იყო, ჩაძოსახჩობი ჰაცი რომ მიყამდა, წინ  
ღვდელი მოუძღოდა ხოლმე ჯალათებსა და ხენწიფეს. ხენწიფის  
დასწრება სავალდებულო იყო და ყოველთვინ ესწრებოდა ხოლმე.

ჩაძოსახჩობ ჰაც ბორკილები აქ ხელიუხში გაყრილი, ძლივ  
მიაბიჯებს მისი სიმძიმიდან, მიარაჩხუნებს ბორკილებ და მიყვება. მის  
წინ ღვდელი მიღის, რომენმაც უნდა აზიაროს ჩაძოსახჩობი  
ჰაცი. უცფათ ეს ღვდელი შეჩერდა და ჩაძოსახჩობი ჰაციც შეჩერა.  
უთხრა: — შეჩერდი! შენს წინ დაიხდე, ნახე რაზე აღგამ ფეხებ,  
ხომ ხედამ შენი თვალებით, ჭიანჭველები არიან, ცოდო არიან არ  
დავსრისოთ!

ჩაძოსახჩობი ჰაცი უკან დაიწია, „ფეხით არ გავსრისო ჭი-  
ანჭველებიო“ და მწარეო გაიცინა.

ხენწიფები შეამჩნია მისი გაცინება, მიუახლოვდა და შეეკითხნა,  
— რა გაცინებსო. მან უთხრა: — თუ ნებას მომცემ, ორიოდე სიტყვა  
მინდა რომ მოგახსენო.

— თქვი, ჰაცო, რაც გინდა, მე მოგისმენ!

— ბატონო ხენწიფე, როდესაც მე თქვენი ხაზინა გავტეხე და  
მოვიპარე თქვენი სიმდიდრე, მე ხომ მარტო არ ვიყავი, ჩემთან სხვა  
ვინმეც იყო, თქვენ კარქათ იცით, მე მარტო რატომ მახჩობო?  
სხვებიც უნდა დაისავინ ჩემთან ერთად.

— ვინ სხვები, რატომ აქამდისინ არ თქვით, ჩვენ ვერ გავიგეთ,

შენ არ გაამხილუ, შენი თანამონაწილეები და ასა სიღაძ გავიგებდით? თქვით, ვინ იყო შენს მეტი, დაადევი ხელი და შენ პირიქით შევიძესუბუქებთ, აღარც ჩამოვახჩობთ.

— აი, ბატონო ხენწიფე, თქვენი ღვდელი და მე ვიყავით, რომ გავტეხეთ თქვენი ხაზინა, მეტი არავინ ყოფილა.

ხენწიფეს ძალით გაუკირდა ამ აბით გაგება. შეაჩერეს ჯალათბი, ჯარი, ღვდელი და ყველაი. ხენწიფემ გასცა ბძანება, გეგჩხრიკათ ღვდელის სახლი ისე, რომა ღვდელ არაფერი გეეგო. გაჩიხრიკეს ღვდელის სახლი და ნახეს, რას ნახმენ, თელი ხაზინდან მოსარული ჭინება, სულ ერთიანათ მის სახში ამოაჩინეს. ღვდელი დაიბარეს და გამოკითხეს, თუ საიდან გაიცნო ის კაცი, ან როდის მოახერხეს ხაზინის ასე მოხერხებულათ გატურდვა.

ღვდელი გაკირვებული იუცამს, რომ — არ მინდა სხვისი ცოდო ჩემს სიციცხლეში არც მინახია ეს კაცი და არც არასოდეს მაგასთან არაფერი საქმე არ მქონია, მე კა გავტურდე ხაზინა და მაგან სიღან გაიგო, ის კი არ ვიცი.

ხენწიფემ ცალკე გამოკითხა, სიღან გაიგე, რომ ღვდელმა გატურდა ხაზინა, როდესაც შენ თითონ მონაწილეობა არ მიგიღიაო? და იმანაც დაწვრილებით უამბო როგორც იყო.

— მამაჩემმა ანდერძი დამიბარა, შელებილ ადამიანს არ ენდოვო, მეც მისი ანდერძი ამისრულდა. ცოლი პატიოსნებაზე მეფიცებოდა, როდესაც გამოვცადე, მინდოხა გამუვო მართლა ჩემი ერთგული იყო თუ შელებილი იყო. ნაშეაღამეზე სახში რომ მივედი, სხვა ახალგაზრდასთან იწვა. ი ახალგაზრდა გამომაკიდა, „ჩემი ქმარი მოკალი თვარებაო, ორივეს დაგვხოცამს.“ მეც მოვასწარი, ბატონო ხენწიფე, სახლიდან გამოქცევა და თავ უშველე. ერთი სახლის ფარდულ შევაფარე თავი, რომ არ მევყალი იმ ურჯულოს. მერე დამძინებოდა და თურმე იმ ღამეს თქვენი ხაზინა გაუტურდიავე და, რომ დაუნახივარვე დაძინებული, დამიჭირეს, ჭურდი ვეონებივარვე, მტაცეს ხელი და ჩამავდეს ნაობახში. ბევრი უფლებავე, ჭურდი არა ვარ - თქვა, მაგრამა არ დამიჯერეს, როდის იყო, რომა ჩემისთანა ისრევლი მამის შეიღლი საქურდალზე წავიდოდა, ან რა გაჭირვება მქონდა, ან რად მინდოდა ხენწიფის ხაზინა, ჩემიც ბევრი მქონდა ყველასური, მაგრამა ეს მიქნა, — მამიჩემის ანდერძი რომ გავტეხე, — მისმა ცოდვამ. მამაჩემმა დამიბარა, „გლახის შვილ არ გვლემაზოვო

და არც სილამაზით მოტეულდევი.“ მოვტეულდი და კიდევ დამოდგა  
თვალება. ახლა კი გვიან არი.

— კარქი, მაგრამა რაზე თქვით შენე, მე მოვიპარევო და რაზე  
ადრევე არ გაამხილე, თუ იცოდი ჩემი ღვდელის ქურდობა?! —  
გაკეირვებით გამოვითხა ისევე ხენწიფები.

— მოგეხსენება, ბატონო ხენწიფები, იმდენი მიტეს ნაობახში, ისე  
დამანტვრიეს ცემით, რომა ოღონდაც კი აღარ ვეცემნევე,  
სულგამწარებულმა ვთქვით — მოვიპარე — თქვა.

— ისრეულო, მე გეჭითხები, ჩემი ღვდელი თუ იყო ქურდი, ის  
რატომ არ თქვით თავის დროზე, შენ ხომ აღარ დაისჯებოდი,  
ადრევე რომ გვემხილა?

— ბატონო ხენწიფე, მოგახსენებ, რომა არ ვიცოდი სანამდისინი  
ჩემი თვალით არ დავინახე მისი შეღებილობა, მერე მომავონდა  
მაძაჩების ანდერძი, შეღებილ აღამისან არ ენდოვო. შეღებილმა ცოლმა  
მომიღო ბოლო და სიკედილამდისინი მიმიუვანა. მისი წყალობით  
შეეხვითი ამ სიკეთეს. მოგახსენო, ბატონო ხენწიფე: ჯერ ერთი,  
რომა მე ისრეულის შვილი ვარ და ქრისტიანი ღვდელი რაში  
მინდოდა მე რომ მომყვებოდა სახიობელაზე, ჯალათიც მოახერხებდა  
ჩემ ჩამოხჩიობას. ეს, თუ გინდა, არაფერი, კაცი დასახჩიობათ მიყუვარ  
და გზაზე ჭიანჭველები დაუნახია თუ არა მეუბნება: „ეი შენ, აქეთ  
გამოიწიე, მიწაზე ჭიანჭველები დადის და ფეხი არ დაადგა, ცოდო  
არი, არ მოკლაო!“ მე იქვეის გავიფიქრე, აა, ეს უნდა იყოს ნამდვილათ  
შეღებილი ტაცი — თქვა, აღამანი მიყუვარ უდანაშაულო დასახჩიობათ,  
არ ვეცოდები და ჭიანჭველებზე კა ამბობს, ცოდო არი, ფეხი არ  
დაადგა და არ მოკლაო. აი სწორეთ იქიდანვე ავიღე აზრი, რომა ეს  
იქნებოდა შეღებილი აღამანი და ვთქვით რისი თქმაც მინდოდა,  
მომავონდა მამიჩების ანდერძი და კიდევაც შესრულდა.

ხენწიფემ გამოარევა ამ კაცის ცოლის საქმეც, გაასამართლეს  
ი ქალიც და ხენწიფის ღვდელიც. ორივეს ჩამოხჩიობა გადაუწყვიტეს  
და კიდევაც ჩამოახჩის.

ამ ჭოვლათ მართალ ტაც კი დაუბრუნა თავისი ოჯახიც, ქონბაც  
და ისე შეუყვარდა, რომა თავის ვეზირათ მოიჯინა გვერდში.

## 15. შაბათი\*

შაბათი დღე სავალდებულოა მოისვენოს ყოველმა მორწმუნე ებრაელმა. შაბათისათვის მზადება იწყება პარასკევს და, ხშირად ზამთრობით, ოთხშაბათ-ხუთშაბათიდანაც. მამაკაცები ჩვეულებრივზე ადრიან მივლენ შინ, იმ ანგარიშით, რომ დაბანონ, დაცვალონ და მზის ჩასვლამდე სალოცავში წავიდნენ.

პარასკევს საღამოს მამაკაცები რომ სალოცავში წავლენ, და-დაკაცებს გამზადებული აქვთ შაბათისათვის ყოველივე წვრილმანი, სუფრა დახურული, რომელზედაც აწყვაი, ორი მთელი პური, სამარილე მარილით სავსე, სუფთა ჭურჭელი, ჭიქები, ქრთი დიდი ჭიქა, ცალკე ღამიაქით, ოჯახის უფროსისათვის საკიდუშოთ\*\* სუფრის თავსა და ბოლოში ორი სასანთლე, შიგ სანთლებით და სხვა.

ქალები და ბავშვები დიდიდან პატარამდე აუკიდლებლად დაიბანენ და დაიცვლიან, შაბათის პატივსაცემად. ოჯახის უფროსი დედა ან დედამთილი, მზის ჩასვლამდე აიღებს ხელში წყვილ სანთლს, ქალი და რძალი მის ირგვლივ ხელში წყვილ-წყვილი სანთლით მისჩერებან, როდის აანთებს უფროსი სანთლს. პირველად როგორც კი ოჯახის უფროსი სანთლს მოუკიდებს, რიგ-რიგობით მიაწოდებს, რომ ქალმა და რძალმა (ვალდებულია გათხოვილი ქალი და ქვრივიც) მის ანთებულზე მოუკიდონ და ანთებული სანთლები ხელში უჭირავთ, ოჯახის უფროსი ღოცელობს, ეკდრება ღმერთს ხმამღღლა: „ღმერთო ქრთო, უკადავო და უცვალებულო, ღმერთო ქრთო გამჩნო ქვეწისაო, გამჩნო, ხასი\*\*\* შაბათ კოდეშისაო, გამჩნო მცისა და დედამიწისაო, (ხელებ მაღლა აპყრობით) დამბადებულო-დამაარსებელო, წმინდა შაბათისაო, ღმერთო აძრაამისაო, ღმერთო ისნაკისაო, ღმერთო იაყაკობისაო, ღმერთო დედების ჩვენისაო, სარა, რახელ, რიპკა, ღლას ღმერთო, უხსენი მტკვესა ისრაელისასა, ულხინე აკანტყოფეს ისრაელისასა, ნუ გაუჭირვებ ნურსიდ მმობირეს ისრაელისას ყველა

\*მოსეენიდა

\*\*ღვინის საკურთხებლად

\*\*\*წმინდა

გადამოწინე შვილობიანათ ერთი ხმით; ვისაცა რა მისცე, კაი ფეხის დაუბადე, გასაზრდელი და დასარჩნი; ყველას შეახვედრე გამწერო ცისა და ჭვენისათ, დღე ბერნიერი და მოვარე მშენიერი. ღმერთო, ნუ მისამ ჩემი ცოდვისას, ღმერთო, დაბათლე ყოველივე პარის წყულობა ჩემი სხვაზე და — სხვისი ჩემზე. ღმერთო, ამიცილე ცუდი ნაქარი, ცუდი ნათქამი ჩემ ნაგლახაურ შეილ-მომავალს, გამწერო, დაბათლე ყოველი წამოსეული გეზერაები ჩემ ნაშირზე. ღმერთო, მოუმართე ხელი ყოველ გზავრისა და ვაჭარ ისრევლისას, ყველას დაუტებე ზღვა და ხმელეთი და ჩემსასაც. ღმერთო, ნუ გამომიკლებ რაც გიბოძებია ჩემთვის ნურა ჩემი სულის შესავალ შინ და გარეთ; ღმერთო, მაჟატივე მე და ჩემ ნაშირ ყოველ კუთხე არემარეზე თუ დაგვემათლებინოს და არ შევესრულებინოს შენი საყვარელი ხასი შაბათ კოდების დავდორება, შენი გაჩინილი წმინდა სანთლი, ხალა\* და მიკვე,\*\* სანთლი\*\*\*. ღმერთო, დამიყენე კაი შაბათი, კაი კვირა, კაი თვე და კაი წელიწადი, გამჩერო ცისა და ჭვენისაო".

უფროს დიასახლისს რომ ხელში ანთებული წყვილი სანთლი უკავია და ლოცულობს, ქალი და რძალი ისმენს და ჩუმად მასვე იმურებენ, ისინიც მოუკიდებენ წყვილ-წყვილ სანთლებს, რომელსაც მიცვალებული მმობლები ჰყავთ, მიცვალებულისთვის ან ზეთს და-ასხავენ ყნდილზე, ან ცალ სანთლს ანთებენ, მის სულის მოიხსენიებენ და სანთლებს სასანთლებში მიაკრავენ; როდესაც ყველა ანთებს სანთლებს, მერე ოჯახის უფროსი ქალი, სუფრაზე წყვილ ქართოფილის სანთლებსაც აანთებს, იმ ზომისას და იმ გამო-ანგარიშებით, რომ ნავახშმევამდე სუფრაზე სანთლი არ ჩაქრეს.

\*საკალებელია, ყოველი შებათისათვის შინ პურის მოზელა, რომ აკურთხოს ქალმა მოზელის შემდგე, პურის ცომიდან, ზეთ აღვიდზე იძღნით უნდა მოწყვატოს, რომ ქათი კერძოს რენა იქნეს, რომელიც კურთხველის შემდგე ცეცხლში უნდა დაიწვას განსაკუთრებული ცურემონით, რომ ცეცხლმა დაფურთვლოს, ხელო მოზელილი ცომი კი უნდა იქნეს არასაკლებ ქრთი რეისა.

\*\*თეოურის დამთავრების ქრთი კურის შემდგე ქალი უნდა გაცელოს საკუთალერ ამასნაში, მანამდე კი რეჯახში არავითარ სოცელ სამეცნიეროს, ცალკე აქცს ჭურჭელი, ღლოვნი, ჩასაცმელი და სხვა.

\*\*\* ფაფული გათხოველი გლრავის ქალი ვალებულია, ყოველი შებათისათვის, რომელიც მისთვის (ანალი მოვარე) და კაი დაცებისათვის, აუცილებელად შინ სამოქნილი წმინდა სანთლი ანთოს და აკურთხოს.

ერთ-ერთი ქალი ან რძალი ყველა ოთახებში ჩამოივლის წეუმად, უხმოთ, ლამპებს დახვდავს, ან ამოიწოს და მარცხი ან მოხდეს. როდესაც ყველას ჩამოივლის, მოძრუნდება საერთო ქალების ოთახში, სადაც ყველამ უკვე ანთეს სანთლები, უფროსი ქალი თვალს გადა-ავლებს, — ხომ ყველა ქალი და რძალი უძლებლივ მის ირგვლივაა, — ნასავს ყველას, ხელით ანიშნებს გამტერონ მის მოქან წარმოთქმული კურთხევა, ხმამაღლა იტყვის: „ბარუქ ათა აღონაი კლოუნუ მჯლებ ა ყოლამ ღუადლივ ნერ შელ შაბათ.“\* ყველანი ხმამაღლა გამტერობებზე და მიჰყებან უფროსს ყვალში, რომელიც ყველა ქარებს ჩამოივლის და მიესალმება ყველა მეზუშას\*\* უფროსს უნცროსები რიგრიგობით მიყვებიან, ისინიც მიესალმებიან მეზუშას, მარჯვენა ხელით, ჯერ მეზუშას შეეხებიან, მერე აკოცებენ თვალდახუჭული და იტყვიან თვითეულ მეზუშასთან: „შალომ, შალომ, შაბათ შალომ!“\*\*\* უფროსს უნცროსებიც მიბაძვენ და გამტერობენ, რის შემდეგ, რომელ თავახშავ სანთლებია ანთებული, მისი კარი არ უნდა გაიღოს, რომ სანთლები არ ჩაქრეს, თუ რომელიმე სანთლი, რაიმე შემთხვევით ჩაქრა, ცუდი ნიშანია, იმ ოჯახში, იმ კვირის განმავლობაში, რაიმე ცუდი უნდა მოეკოდნენ.

სანთლის კურთხევის შემდეგ, უფროსი გავა სამზარეულოში, გა-დახედავს სუფრას, ნამცხვარს და განკარგულებას გასცემს, გაამზადონ მენუსისათვის\*\*\*\* ულუფა, ავადმყოფისათვის და ღარიბისათვის. რაც კა შაბათის სახელზე სასმელ-საჭმლია გამზადებული, ყველა-ფერის საკუთხეს ნაწილი უნდა გადაიდგას და სამ წელად დალაგდეს, შეინვიოს სუფთად და გაიზარდნოს დანიშნულებისამებრ. მენუსის კა უნდა იკურთხოს, მიცვალებულის სახელი იქნეს მოსსენტებული, მანამ არ უნდა შეინვიოს. როდესაც მენუს აკურთხევს შემდეგ გავზარდან.

\* კურთხეველი ბრძანებული შენ, გამზენო ღმერთი ჩეხი, ხელმწიფე ჰელიოზე ჰელიოზესაც, გავანათეთ სანთლი შაბათისათვის.

\*\* მორწმუნე გძრავლს ყველა ქარზე აქვს ნიშანი, რომ ამ ბინაში მორწმუნე უძრავი ცხოველის, რენის ჩარჩოში მოსავსებული, რომლიდანაც მონან სამი ასე გძრავლ ქაზე შედ.

\*\*\* მშვიდობა და მოსვენება.

\*\*\*\* მიცვალებულის სულის სხენება.

მამაკაცები სალოცავიდან დაბრუნდებიან, შინ ფეხზე ადგომით შეხვდებიან და ხელზე კოცით მიესალმებიან. ოჯახის უფროსი მა- მაკაცი პირველი შეაძიგებს, მარჯვენა ხელს მეზუხაზე დაადგებს და მარჯვენა ფეხს კარის ზღურმლზე გადადგამს, შინ შეიძებს: „შაბათ შალომ, შაბათ შალომ, შაბათ შალომ“, წალმა შემომრუნდება. მას ვაჟები მიყვებიან და ყველა იმასვე გაიმურებს და ყველა წალმა შემოტრიალდება. ოჯახის უფროსი შეა როახში შეჩერდება, ყველა შვილები, შვილიშვილები, რძლები და ქალიშვილები რიგრივობით ხელზე კოციან, უფროსიც ყველას თავზე ხელს დაადგებს და აკურ- თხევს: „მი შეხერან აბოთენუ, აბრაამ, ისხაკ ვე იაყაკობ.“\*

როდესაც ყველას კურთხევას მორჩება, შემდევ ყველა კარებს ჩამოიკლის, მეზუხას მიესალმება, ვაჟებიც ფეხებდაფებ მიყვებიან, მასვე იმეორებენ, თუ ვინმე ოჯახში ავადყოფია, მერე მის საწოლთან მივა, თავს ხელს დაადგებს „რეფუა შელემა“-ს\*\* ეტყვის.

პირველად ოჯახის უფროსი დაიკავებს სუფრაზე ალაგს, რიგ- რიგობით მამაკაცები სუფრას შემოუსხდებიან და შირას\*\*\* იძღვრიან. ოჯახის უფროსი მამა შემოსხახებს: „შალომ, შალომ, შალომ უალესებ, მაღაზე აშარეთ, მაღაზე, ყვლონ“\*\*\*\* და სხვა. ვაჟები ბანს მისცემნ და რამოდენიმეჯერ გაიმურებენ გალობით.

გალობის შემდევ უფროსი დაიძახებს: „კიდუშ“ დიდიდან პატა- რაძე ყველანი ფეხზე წამოდგებიან, უფროსი მისთვის წინასწარ მოშალებულ სასმისში ღვინოს დაასხავს, რომელსაც ყველა გულის ფანცქალით მისჩერებია, რომ ღვინო წააღმა დატრიალდეს, თუ წალმა დატრიალდა, ყველას გაეხარდება, კი კირე დაუდებათ, წალმართანი, თუ არა და ყველას მოწყენილობა შეემჩნევა, ღვინო უკუღმა დატრიალდა – მომავალ კირაში ოჯახს ზარალი მოელის. უფროსი ღვინოს ასხამს თან გალობს. კურთხევას ისმენენ განსაკუთრებული ფურადღებით, ბეჭის გაფრენა უნდა ისმოდეს, ისეთი სიჩუმეა სავალ- დებულო. ღვინოს აკურთხევს და იძახის: „საბრი მარანან, ბარუს

\*ვინც აკურთხა მამები ჩუნი, აბრაამი, ისხაკი და იაყაკობი იმან გაკურთხოს თქვენ. ამენ.

\*\* განკურნებას.

\*\*\*სიმღერა.

\*\*\*\*მშეიდობა თქვენია ანგლიურშებო ზეკისაო, ანგლიურშებო მაღლაებისაო.

ათა ადონაი, ელოენუ მელექაყოლამ ბარე ფერი აგფენ.“\* კურთხევას რომ მოათავებს, ერთ მესამედს მოსვამს, შემდევ უფროს ვაჟს მიაწოდებს, ისიც ცოტას მოსვამს, შემდევ გადასცემს, მამაკაცები მოსვამენ შემდევ ქალებს გადასცემენ. იმავე სასმისიდან ყველას უნდა გაწვდეს, ბავშვებსაც კა. თუ რომელიმე ქალს ოჯახში თვიური აქვს, მას თავისთვის მიჩნილ სასმისში გადაუსხატენ ისე ფრთხილად, რომ სასმისი ერთი მეორეს არ მიუკაროს.

ამ რიგად, კიდევს ყველა ჩამოირიგებს, რის შემდევ ემზადება ხელწყალი. ერთ-ერთ უძცროსს ხელში ტაშტები უჭირავს, მეორეს კი წყლით თუნგი. ხსნებული ტაშტი და თუნგი სპეციალურად ხელწყლისთვის არის, სუფთად ინახება, არაფერში არ იხმარება. პირველად ოჯახის უფროსს დაბანინებს ხელს, შემდევ რიგრივობით — დანარჩენებს, წყალს ხელისნაბანს ისეთ აღაგზე დააქცვევნ, რომ ადამიანმა ზედ არ გადაიაროს, დაბანილ ხელებს ოჯახის უფროსი ხმამაღლა აკურთხევს: „ბარეს ათა ადონა ელოენუ მელექ ა ყოლაშ აშერ კიდემანუ შემიცვოთავ ვეცივანუ, ყალ ნეტილათ იადაინ“. დანარჩენები ჩუმად აკურთხევენ და ხმის ამოულებლად სხვან, იც-დიან სანამ უფროსი პურს არ აკურთხევს.

უფროსი სუფრის სახურავს გადახდის,\*\* ორ მოელ პურს ხელში აღდებს, ერთმანეთზე დაწყობს, მაღლა ასწევს და აკურთხევს: „ბარეს ათა ადონაი ელოენუ მელექ ა ყოლამ, ამოსი ღეხემ მინაარეც ამენ.“\*\*\* ორი პურიდამ მხოლოდ ერთზე ფუას ჩამოჭრის, ფურდან პატარას მოჭრის, მარილზე დააწებს და შესჭამს, ფუას წვრილად დასჭრის და რიგზე კველას ჩამოურიგებს, ყველა მარილზე დააწებს და კურთხევით შესჭამენ, მანამდე კი ჩუმად არიან. ყველა რომ ბერახას შესჭამს, უფროსი დასახლისი სუფრაზე ზის, მას უმცროსი ქალები მიაწოდებენ ვახშამს.

წინასწარ გათვალისწინებულია ვახშმის განრიგი, დასახლისი

\*ჭექას შევლისას ავიღებ და სახელსა გამჩნისას ვაღიღებ, კურთხეული ბრძანდები, ღმერთი ჩუქო გამჩნო და სხვა.

\*\*სუფრის სახურავი სავალდებულია ქალისთვის მზითვად გაატანონ, ხშირად ფართის.

\*\*\*კურთხეული ბრძანდები ღმერთი ჩუქო, ხელმწიფებ ჭკენისაო, პურის გამომტანი მიწისაგან.

კველას ჩამოურიგებს, ივახშმებენ, კველანი სუფრაზე სხვლან და მხარელობენ. უფროსები მოაგონებენ უნცროსებს, რომ ამაღამიღან შეაკვეთონ სიმხიარულე, ვინაიდან, როგორც დაიწყებენ, მთელი კვირე ისევე გაყვებათ, სიმხიარულე – სიმხიარულეთ, მწუხარება კი მწუხარებათ. ბავშვებმაც კი იციან და მაცადინი არიან კველა მხრით, არ შეაკვეთონ მწუხარება, არ იკინჭლავონ, არ წაიჩხუბონ და სხვა.

ვახშმის სუფრაზე დიდიდან პატარამდე შემოსხდებიან ქალი და მამაკაცი ბავშვებიანთ.\* ვახშმის შემდევ კვლავ იწყებენ გალობას: „ია რიბონ ყალამ ვეყალმაია, ანთე უ მალქა მელეს მალხაია, ყობად გაებურთეს ვეოიმაა, შეფარ კოდამია ლიანაჟაია“\*\* და სხვა.

გალობის შემდევ ოჯახის უფროსი დაიძახებს: „მაიმახარონ“, ქალი და რძალი სწრაფად სუფრიდან დანა-ჩანგალს და ზედმეტ ჭურჭელს აალაგებენ, ერთ-ერთ მათგანს მაიმახარონისთვის\*\*\* პატარა ტაშტი და თუნგი მშადა აქვს, მიაღება პირველად ოჯახის უფროს მამაკაცს, რომელსაც თვითონვე რიგრიგობით ჩამოუტარებს მამაკაცებს სუფრაზე და დაიბანენ მხოლოდ ხელის ფრჩხილების ცოტა ქვევით შეამდე თითებს, რომლის ნაბანი წყალი იქვე უნდა გადიქცეს, ისეთ აღავზე, სადაც ადამიანის ფეხი არ დაიღვება. მაიმარაშონის წყალიც ხელის დაბანისთანავე უნდა გადაიქცეს, თვარა, თუ მაიმახარონის წყალთან ერთად გადაიქცა, ორივე ნაბანი წყლის ანგელოზები დაიწყებულებიან, თუ კი მაიმარაშონის\*\*\*\* იქვე გადაიქცევა, სანამ ჭამას შეუდებოდენ, მისი ანგელოზები დაიღოცება, რომ მაიმახარონის წყალს არ შეუკრიტება, ორივეს ანგელოზები დაიღოცებიან. როდესაც ცეკვა ოჯახის წერი დაიბანს ნაჟამ ხელის ფრჩხილებს და ნაბანი წყალი გადაიქცევა, წყლის ნასხამი ტაშტი და თუნგიც სამჯერ უნდა გამოირცხეოს, იმ მიზნით, რომ ერთი წვეთი წყალიც კი არ შერჩეს ზედ ხელის ნაბანი და არ დაუზარალოს მისმა ანგელოზებმა.

\*გარდა თვითონ მქონე ქალისა.

\*\*უყალო, გამწირო ქვეყანისაო და ხალხისაო, შენ ნარ ის ხელმწიფე ხელმწიფებისა, ემსახურებიან ხიდლიერება შენს მომავალშიაც კვლავ იხელმწიფებ შენ.

\*\*\*ხელის ფრჩხილების დასაბამად

\*\*\*\*ჭამის წინ ხელის ნაბანი

თუ სამ სხვან ან მუტი სუფრაზე, მღოცელი იტენის გბრაულად: „ვაკურთხოთ ის ვისგანაც ვჭამეთ“. სხვები პასუხობენ: „კურთხეული ბრძანდება ის, ვისგანაც ვჭამეთ და სიკეთით მისით დიდით ვცოცხლობთ“. მღოცელიც გაიმეორებს: „კურთხეული ბრძანდება ის, ვისგანაც ვჭამეთ და სიკეთით მისით დიდით ვცოცხლობთ“. ყველანი ამბობენ: „კურთხეული ბრძანდება ის და კურთხეული ბრძანდება სახელი მისი და კურთხეული ბრძანდება ხსენება მისი უკუნისის უკუნისამდის. კურთხეული ბრძანდები შენ, გამჩენო ღმერთო ჩვენო, ხელმწიფე ქავენიერობისათ, მასაზღლებელო ქავენიერობისათ, საყოველთაო სიკეთით, სიფარულობით, წყალობით, შაღავათით და შებრალებით მომცემო ჟურისა ყოველი ხორციელისათვის ნამეოურ უკუნისამდის არის წყალობა შენი და სიკეთე შენი დიდი. მუდმივი არ დაგიკლია ჩვენთვის და ნურც დაგვაკლებ საზღოს მუდმივსა ჟერნისის უკუნისამდე. ნამეოურ შენ ბძანდები მასაზღლებელი და მარჩენელი ყოველისა და სუფრა შენი მოწყობილია ყოველისათვის და გავიმართავს სარჩოება და საზღოება ყოველივე შენი გაჩენილებისათვის, რომლებიც გავიჩენია შებრალებით და მრავალი წყალობითა შენითა, როგორც სწრია, გასხენი ხელი შენი და გააძლე ყოველი ცოცხალი ქაყოფილათ, კურთხეული ბძანდები შენ, გამჩენო, მასაზღლებელო ყოვლისა.

გმადლობ, შენ გამჩენო ღმერთო ჩვენო, რომ დაუმკვიდრე ჩვენს პაპებს ქვეყანა სანატრელი, კარგი და ფართო, სიცოცხლის და საზღოსი, რომ გამოგვიყვანე ჩვენ მიცრაიმის ქვეყნიდან, დაგვისხენი ქმობის საღვეურიდან და შეაბეჭდე ხორცსა ჩვენსა ნიშანი პირობისა, რომ გვასწავლე სწავლა შენი, გვაცნობე წესები სურნებისა შენისა და რომ გვიწყალობე სიცოცხლე და საზღო, ნამეოურ შენ ბძანდები მასაზღლებელი და მარჩენელი ჩვენი. ისურვე და გაგვამაგრე, გამჩენო ღმერთო ჩვენო, დარიგებაებითა შენითა და მადლითა ამ მეშვიდე დღე შაბათითა, დიდი და ხასი არის წინაშე შენისაგან. მოვიცალეთ და მოვისენებთ ამა დღეს სიყვარულობით თანახმათ შენი სურნების წესებისა და წე იქნება შეწუხება და ნაღველი ჩვენი მოსვენების დღესა და გამჩენე წეგეშისცემა სიონისა სწრაფათ დღეებსა ჩვენსა, რაღვანაც შენ ბძანდები მფლობელი წეგეშისცემებისა და ოუქცა ვმჭამეთ და ვსვით, აოხრება სახლის შენისა დიდის და ხასის მაინც არ დაგვივიწყითა, წე დაგვივიწებ უკუნისამდის და წე მიგვატოვებ უკუნისამდის, ნამეოურ ღმერთი ხელმწიფე დიდი და ხასი ბრძანდები

შენ და ამჟენე იქრუშალამი, ქალაქი შენი სწრაფათ დღეებსა ჩვენსა”.

თუ შაბათი და ორშეხვევებია (ახალი მოვარე), იტევიან: „დმტროო ჩვენო და ღმტროო მამების ჩვენისაო, ამოვიდეს და მოვიდეს, მოახწიოს და გამოცნადდეს, ისურვებდეს, მოისმოდეს, მოიკითხებოდეს და მოიხსენებოდეს ხსენება ჩვენი და ხსენება მამების ჩვენისა, ხსენება იქრუშალამი ქალაქის შენისა და ხსენება მოშახ შვილისა დავით გმი-სა შენისა და ხსენება ყოველი ერის შენის ისრაელის სახლეულობისა, წინაშე შენისა დასახსენელათ, სასიკოთო, სასიცარულოთ, საწყალობოთ და შესაბრალებლათ ამა თვის თავის დღეს. კურთხეული ბრძანდები შენ გამჩენო აღმაშენებელო იქრუშალამისა შებრალებით. ამენ.

კურთხეული ბრძანდები შენ გამჩენო ღმტროო ჩვენო, ხელმწიფევ ქვეწიერობისავ უკუნისამდის, ღმტროო, მამაო ჩვენო, ხელმწიფევ ჩვენო, ყოვლის შებძლევ! გამჩენო ჩვენო, დამხსნელო ჩვენო, ყოვლათ წმინდავ, ხასო, იყაკობისაო, მწყემსო ჩვენო, მწყემსო ისრაელისაო, ხელმწიფევ კარგო და მოკეთილე ყოვლისაო, ნამეოურ ყოველ დღე და ღამე მან გვიკეთილა ჩვენ, გვიკეთილოს და გვიკეთილებს ჩვენ. მან მოგვანიჭა, გვინიჭებს და მოგვანიჭებს უკუნისამდის სიცვარუ-ლობას, წყვლობას, შებრალებას, შეგას, დახსნას და ყოველ კიოლის.

შებრალე, ის იქნებოდეს ჩვენში საუკუნოდან საუკუნომდის.

შებრალემ, მან ძალა ერისა მისისა აამაღლოს.

შებრალე, ის მშვენიერობდეს ჩვენში უკუნისის უკუნისამდე.

შებრალემ, მან გვიწყალობოს ჩვენ საზღვრ პატიოსნებით და არა სიძუირით, სიაღალით და არა სიარმით, სიძმეიდით და არა სიმწუხა-რით.

შებრალემ, მან დანერგოს ჩვენში შვიდობა.

შებრალემ, მან გამოუგავნოს კურთხევა, სიძმეიდე და გამარჯვება ყოველ ჩვენ ხელების ნაწარმოებს.

შებრალემ, მან გაუმარჯვოს ყოველ ჩვენ გზებს.

შებრალემ, მან დაანტვროს ულელი მტკვების ჩვენი ქისრიდან.

შებრალემ, მან წაგვასხას სწრაფათ, დიდებულათ ჩვენს საძმობ-ლოში.

შებრალემ, მან მოგვცეს ჩვენ განკურნება მოული სულიერათ და ხორციელათ.

შებრალემ, მან გაგვიხსნას ჩვენ ხელი მისი ფართო.

შებრალემ, მან აკურთხოს ყოველი თვითუელი ჩვენი ოჯახი, სახელითი მისითა დიდითა, როგორც იკურთხენ მამები ჩვენი პრამ,

ისხაკ და იაყაკობი ყოვლით ყოვლისგან და ყოველივე, აგრეთვე გვაჩურთხოს ჩვენ ერთად მოელი კურთხევით და აგრეთვე ასრულდეს და იპასუხონ, ამენ.

შემბრალებ, მან გადმოიფინოს ჩვენზე კარავი შვიდობისა მისისა.

შემბრალებ, მან დაგვანაწილოს ჩვენ ქვეყნა განსვენებისა და საუკუნო სიცოცხლით.

შემბრალებ, მან გაგვიახლოს ჩვენ ეს თვე სიკეთით და კურთხევით.

შემბრალებ, გვაცოცხლოს და მიგვაახლოვოს მაშიახის\* დღებს ბეთა მიკამის\*\* აშენების და მომავალ ქვეჭნიურობის სიცოცხლეს.

გაუდიდებს შევეღძასა მეფესა მისისა და უშვრება წყალობას ცხებულისა მისა დაკით და შთამომავლობასა მისა უეტნისამდის. „ლომები – მოხდება, დასაწყლდებიან და დაიშვებიან, მაგრამ მიმღობს გამჩენისას არ დააკლდებათ ყოველი სიკეთე“. ყმაწვილი ვიდავ, დავბერიკაციი კიდეც, ის კი არ მინახავს, რომ მართალი კაცი გატოვებული იყოს და შთამომავლობა მისი ექვედეს პურსა.

რაც რომ ვჭამეთ შევერგოს და რაც რომ ვსვით წამლათ გვეპტეს. რაც რომ მოვირჩინეთ კურთხევა დაჯდოს, როგორც სწერია: „და მიართვა მათ და სჭამეს და მოარჩინეს გამჩენის ბძანებისამებრ“. კურთხეული იყავით თქვენ გამჩენისაგან მცისა და ქვეყნის მომქმედებლისაგან.

კურთხეული იყოს ის კაცი, რომელიც მიენდოს გამჩენს და იქნება გამჩენი იმედი მისი.

გამჩენმა მისცეს ძალა ქრის მისია, გამჩენმა აკურთხოს ერი მისი შვიდობიანობით. მომქმედი შვიდობიანობისა მაღლაა, მცემში, მან მრავალი მისი შემბრალებით მოიქმედოს შვიდობა ჩვენზე და ყოველ ისრელზე და იპასუხეთ, ამენ.

ჭიქას შველისას ავიღებ და სახელისა გამჩენისას ვილოცავ, დაუფიქრდით, მატონებო“.

ოჯახის უფროს მამაკაცს ღვინით სავსე ჭიქა ხელში უჭირავს და აკურთხევს: „კურთხეული ბძანდები შენ, გამჩენო ხელმწიფულ ქვეყნიერობისაო, გამჩენო ვაზის ნაყოფისაო. კურთხეული ბძანდები

\*შეხიის

\*\*ტაძრის

შენ, გამჩენო ღმურთო ჩვენო, ხელმწიფულ ქვეყნიერობისათ, ვაზისა, ვაზის ნაყოფისა და მინდვრის მოსავლისათვის და სანატრელი, კარგი და ფართო ქვეყნისათვის. დაუნაწილე მამებსა ჩვენსა, რათა ეჭამათ ნაყოფი მისი და სიკუთხა მისასა გაეძლო ისინი. შევვიძრალე, გამჩენო, ჩვენ და ერთ შენი ისრეული და ქალაქი შენი იერუშალამი და მთა სიონის სადგომი პატიოსნების შენისა და სამწირველო შენი მთა შენი და აშენე იერუშალამი ქალაქი წმინდა, სწრაფად ჩვენს დღეებში და დაგვასახლკარე მაშიც და გვამხიარულე მისი აშენებით და გავვისენე ამა როშხოდებიდა. ნამეოურ შენ ბძანდები კარგი და მოკუთილე ყოვლის და გმადღობ შენ ქვეყნის და ვაზის ნაყოფისათვის. კურთხეული ბძანდები შენ, გამჩენო, მწყალობელო ჩვენთვის, ქვეყნის და ვაზის ნაყოფისათ.

მღოცველი ნაკურთხევ ღვინოს შესვამს ნაწილს და დანარჩენს რიგზე ყველა ოჯახის წევრი მოსვამს.

ოჯახში ნავახშმევი სუფრა აღავდება. მამაკაცები გაერთობიან, უფროსები თორის ჭირნახულით, ახალგაზრდობა კი სხვა და სხვა სახის გასართობით და სიმხიარულით.

